

ପ୍ରକାଶନ



୩୦

ପ୍ରକାଶନ

საქართველოს კულტურის დაცვისა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



შემაცივებული „საბჭოო სამართლებო-
მიმღები — 1972





დავით აღმაშენებელი, გვლათის ფრესკა

ქართველი ეკულინარი

პრეზენტი მოძახვაზე



ପାଇଁ ମାତ୍ର ଏକ ଦିନ କାହାର କାହାର କାହାର କାହାର କାହାର କାହାର

საკარიბო სამართლოს სახ ცენტრული საგანის პრეზიდენტის
საკარიბო სამართლოს სახ ცისხვის საგანოლის კოდექსი

Հաւաքինու մշակումներու մասին բարությունը նպաստություն է առաջարկությունների համար:

საქართველოს სხის ხელშის სამიზნების კოდექტის 254-ე მუხლი ჩამოთვალიბეჭების შემდეგ ნიშანდეთ:

“**କେବଳ** ଏହାରେ ମୁଣ୍ଡିଲାଇବା ଅବଶ୍ୟକ ନାହିଁ ।”

— ეს არ აუცილებელი გამოიყენეთ —
ისჯება გამასტრობელი სამუშაოებით ვაღით კრის წლისას ან ჯარიმით ას მანქანამდე, ან
სახურისადამისას ას მას დაუდონ.

კულტურის მეცნიერის, აგრძელებულ საქართველოს მიერ დაცული ბუნების მიღებაში განა-
დგურება, დაწერება ან დანიანება, თუ იგი სიადგილით ფუნქციაზე ნივთიერებულის ან მომეტე-
ბული საციროს წარიმოების გაუფრთხოებული გამოწვევებით, აგრძელებ მს რეგლურის
გაუფრთხოებულობით განვითარება, დაზიანება, ან დაზიანება. —
ისჯევა თავის უცლულობის აღკვეთით ის წლისას, ან გამასწორებული სამუშაოებით, ვალით
ურა წლისას, ან ჯარიმით ირას მძღოლება.

ପ୍ରଦୀପ୍ତରେଣ ମୁକ୍ତାବୀଙ୍କୁ, ଏହିପରିଷ୍ଠେ ସାହେଲନ୍ତିରୁଙ୍ଗେଣ ମୋର ଦୁଃଖଲୋ ହେବେବୀଙ୍କୁ ଅନ୍ତର୍ଭାବୀଙ୍କୁ ଶାନ୍ତି ଓ ଶାନ୍ତିକାରୀଙ୍କୁ ଯେତେବେଳେ ଏହାରେ ଆମେ ପରିଚାରିତ ହୁଏଥାଏବୁ—

ବେଳୁକ୍ତ ତାଙ୍କୁ ପ୍ରତ୍ୟୋଗିତା ଅଲ୍ପପ୍ରସାଦମାତ୍ର ହେଉଥିଲା, ଏହି ପରିବର୍ତ୍ତନରେ ବେଳୁକ୍ତ ବାହୀନଙ୍କ ଉପରେ ଆଶ୍ରମ ପାଇଲା.

ოგვავ ქმედობა, ნაღინილი გამსაკუთრებაში მნიშვნელოვანი ქვეყნის თე პირტიბის მიზანით არის ნაირით დაგენერირებული.

କାହାର ପାଇଁ ଯାଏନ୍ତି କାହାର ପାଇଁ ଯାଏନ୍ତି । ୧-୨-୫ ୩-୪-୮

ხატანთველის სსრ უკლებეთი ხაბჭის პრეზიდიუმის თავმჯდომარევის
ა. ძ. გ. გ. გ. გ. გ.

ଶାକାର୍ଯ୍ୟବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିପାଦନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି।

տեսարկություն, 1972 թվական 14 համակարգություն



ଫୁଲପୁର ୯. ଗୁପ୍ତମାନାମଣି

ବୁନ୍ଦିଲୁଙ୍କ

შირომლვის მონასტერი

საქართველოს მეცნიერების მცხეთის დასაცულეთით, დაახლოებით 9-10 წ-ის მანძილზე, სხალტბის ქედის ძირში მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი ქართველი მონასტერი, რომელსაც შიომღვიმეს უწოდებენ. იგი დაუარსებია იმანე ზედაშენელის ერთ-ერთ მოწაფეს, რომელიც შიო მღვიმელის სახელითა ცნობილი.

საქართველოში მონასტრების აღმოცენება და სამონასტრო ორგანიზაციის დახა-წყისი დაკავშირებულია ე. ჭ. „ახურელ მამათა“ მისიონერულ მოღვაწეობასთან. VI საუკუნის შუა წლებში სირიიდან სამშობლოში დაბრუნდა ქართველ საცელებით მო-ლვაწეთა ჯგუფი იმანე ზედაშენელი ხელმძღვანელობით. ისინ ქართლისა და კახეთის სხევადასხევა პუნქტებში დასახლდნენ და საცუმველი ჩაჟარებს ეკლესია-მონასტრებს. ამათგან არა ერთი იქცა ქართველი კულტურის თვალსაჩინო კერად და საუკუნეების მანძილზე დიდი კვალი დააჩინია ჩვენი ხალხის ცხოვრებას.

შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა ასახულია მისი „ცხორების“ წიგნებში ჩვენამდე მოღწეულია არსენ მეორე კათალიკოსის (X ს.) თხზულება „ცხორება და მოქალაქეობა დიოქსია მამისა ჩვენისა შიომხი და ევაგრესი“, აგრეთვე XII საუკუ-ნის უცნობი მეტაფრასტის მიერ გადამუშავებული რედაქცია შიოს ცხოვრებისა („ცხორება და საკურველებანი წმინდასა და წეტარისა შიომხი...“).

შიომღვიმების ცნობით შიო დაბდებულა ქ. ანტიოქიაში (სირია). ოცი წლის ასაცი იგი ბერიად შედგა და დაემოწავა იმანეს (ზედაშენელს). ერთხანს სირიაში მო-ღვაწეობდა, ხოლო შემდგვ ქართლში წამოქავა იმანეს და 543-547 წლებში მასთან ცხოვრობდა ზედაშენზე.

547 წლის ახლო შიო ზედაშენის მთიდან წამოვიდა და დღევანდველი მონასტრის მიდამოებში „საკინის მთაწე“ „პოვა მცირე ქუაბი“, „დაჯდა მას შინა დაყუდებით“ და იქ აუტანელ პირობებში ცხოვრობდა.

შიომ მაღვე გაითქვა ხახელი და მასთან მომრავლდნენ ბერები. შეკრებილთა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. საჭირო შეიქმნა ეკლესის აგება და „სცა სათხარი... წმიდამან შიო და აღაშენეს ეკლესია“ იმანე ნათლისმცემლისა.

მონასტრის გაშენებისა და ბერია კრებულის გაშენდის შემდეგ შიო ნათლისმცემ-ლის ეკლესის დასავლეთით შეარჩია ერთი მღვიმე „ფრიდადა სიღრმესა შეონებელი და ყოვლად მნელი“, „მთაქვდა... მას შინა“ და იქ დასრულა თავისი სიცოცხლე. ეს ადგილი შიოს საძვალედ იქცა. შემდგენი ამ სასაფლაოზე ააგეს ეკლესია, რომელიც მომდევნო ხანაში ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს. სხვათა შორის, ეს მღვიმე დიდ სიწმინდედ იქნა მიჩნეული და მონასტრის სახელიც იქიდან წარმოდგა (შიოს მღვიმე, შიომღვიმე).

დროთა გამავლობაში შიომღვიმე მძლავრ სამონასტრო ცენტრად იქცა. იქაური ბინადარნი მონასტრის „დიდი მღვიმის უდაბნოს“, „დიდ ღაერას“ უწოდებდნენ. მო-ნასტრის მევიდრი ბერებით აიგოს სხალტბის ქედის გამოქაბულები. ეს მღვიმები ბუნებრივი იყო და ბინადართა პირველ მოთხოვნილებას აღვილად აქმაყიფილებდა.



ბაგრამ გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად შემდეგში საჭიროდ უკურნებულ ტერიტორია სხულყოფა. სხალტბის ქედის ფერდობებზე ასლაც შეინიშნება 100-მდე ტერიტორიას მიერთოს ხოლო პლ. იოსელიანი XIX საუკუნეში იქ ათასამდე მღვიმების არსებობა აღნიშნა. კიდევ უფრო კარგად იყო შენახული მღვიმები ვაზუშტის დროს. დიდი ქართველი გოგრაფი წერს: „არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, შრავალნი, და კლდე ეს არს, ვითარცა ნაშენი ქვითერისა...“.

ეს მღვიმები მტრის შემოსევის ფაზს სიმაგრის მოვალეობას ასრულებდნენ და მღვიმელთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ.

XI საკუნის შეა წლებში შიომღვიმის მონასტერი. თურქ-სელჩუკებმა დაარბიყენ. შეუებ ბაგრატ VI (1027-1072) შიამღვიმისადმი მიცემულ სიგვლში 1058 წელს აღნიშნავდა, რომ მტრის შეომრებმა აიკლეს მამული „ლაკრისა მღვიმისნი“, შეუებ დააჩირების მიზნით მონასტერის უბორა ბაღვაშთა ყოფილი მამული კლდეკარის ახლოს — ბორცვის ჯვარი.

XI საკუნის დასასტულს მონასტრის წინამძღვარმა მიქაელმა შიოს სასაფლაოს ეკლესია დააშენა (გვიან იგი ნათლისმცემლის ეკლესის შეუერთება; მიქაელის წინამძღვრობის პერიოდი — 1072-1123 წწ., კომილია, როგორც შიომღვიმის ეკონომიკური აღორძინების ხანა).

მონასტერის ყურადღებას არ აკლებდნენ ქართველი მეფეები — გიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი და სხვები.

განსაკუთრებით ალანიშნავია დავით აღმაშენებლის ზურნა მონასტრისადმი. მან მონასტრის შეა ადგილას ააგო ღვთისმშობლის მიძინების დიდი გემბათიანი ტაძარი, რომლის შენებლობა ერთ საინტერესო ეპიზოდს უკავშირდება: დავითი სასტკიად ეპროდა უნი დიდგვარიან ფეოდალებს. მეფისგან დევნილმა ძლიერიმა ფეოდალმა ძაგლმა თავი შეაფარა მღვიმეს, შაგრამ მონასტრის კრებულმა, მფარველობის მაგივრ, ორგვლი ფეოდალი შეიცყრო და მეფეს გადასცა.

მღვიმელთა ერთგულებითა და თავდადებით აღურთოვანებულმა დავითმა მონასტერი მთლიანად თავის საპატარონოდ გამოიახადა და იქ დიდი ტაძარი ააგო. ტაძრის შენებლობა 1103 წლის ასლობ დაწყებულა, ხოლო 1123 წლისათვის უკვე იმდენად ყოფილა დამთავრებული, რომ მთლილ შეგნით შელესვა-მოხატვა და კურთხვევა-ლა აკლდა.

1123 წელს, შიორამშე გალაშერების წინ, დავით აღმაშენებელმა მონასტერის საგანგებო ანდერძი დაუწერა და დიდძალი ქონება უბორა. ამ ანდერძით მეფე მონასტერს განუსაზღვრა ყოველგვარი წესწყობილება. მონასტრის გამგედ გააწესა მუშაობართუებული, ხოლო სასულიერი და შინაური საქმეების მართვა მიანდო მთავარმებრეიმეს.

სამეფო კარის მხარდაჭერით და დახმარებით შიომღვიმის მონასტერი მძლავრ ფეოდალურ-საკულესიო სენიორიად იქცა.

მონასტერი არაბელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო წყლის ნაკლებობას განცემდიდა. თამარ მეფის ხანაში, თამარის ნებაყოფლობით, ანტონ ჭყონდოდელ-მთავარებისკომპლ-მწიგნობართუებულება 1202 წელს სოფ. სხალტბიდან მღვიმეში წყალი გამოიყვანა. ეს წყალსადენი როულ პილროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს და იმ დროის ქართული სააღმშენებლო ხელოვნების მაღალ დონეს მოწმობს.

თამარის ეპოქაში შიომღვიმის მამულები კვლავ იზრდებოდა და მონასტერი მდიდრდებოდა უცვი შეწირულებებით.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედის დამდევს მონასტერი ხეარა მეტელის დასახლება გადასცა მაღალ აღდგა.

1393 წელს საქართველოში შემოჭრილმა თემურ-ლენგმა მონასტერი აიკლო და ააოხრა.

XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთ დიდ-გვარიან ფუოდალს ზევდებინიძე-ამილახორს გადასცა საკუთრებად მეუისადმი თავდა-დებისათვის. აქედან მოყოლებული XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე მონას-ტერი ამილახორთა საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა (ამ გვარს სასაფლაოდ სამ-თავისიც ჰქონდა მიჩნილი).

XV საუკუნიდან შინასატერი ზევდებინიძენ უმარჯებიან (1433 წელს თავა ზევდ-გინიძე აქ თავისთვის და მეუღლე მამქანისათვის საძვალე კვდერის აგებს — ამებამაღ ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილოეთის კვდერი), მაგრამ არც სამეულ კარი აკლებს უკრადღებას.

XV საუკუნის დამდევს მონასტერს დიდძალი ყმა-მამული შესწირა აღვქმანდებ დიდმა (1412-1443); მონასტრისადმი ზრუნვას იჩენენ ქართლის მეულ ხეიმონ I (1558-1600), მეულ როსტომი (1632-1658), გიორგი XI (1678-1688, 1703-1709) და სხვ.

XIV-XVIII საუკუნებში მონასტრის სამეურნეო-კულტურული ცნოვებმა შენ-ლებული ჩანს. ამ პერიოდში შიომღვიმის მონასტერი ბერევრ გამზღარა დარბევის ობიექტი. საქართველოში შაპ-აბასის მრისანე შემოსევების დროს, 1614-1616 წლებში, მონასტერი სასტიკად ააოხრეს. სწორედ ჩაშინ უნდა დანგრეულიყო დაეით აღმა-შენებლის შიერ აგებული დიდი ტაძარი.

XVII საუკუნეში შიომღვიმები საფუძვლიანი აღდგნითი მშენებლობა გაჩაღდა; 1678 წელს გიორ ამილახორმა და მიხმა მეუღლემ, ვახტანგ V-ის (1658-1675) ასულმა თამარმა განაახლეს ღვთისშიმობლის ტაძარი.

სსმაღლთა ბათონობის პერიოდში (1722-1735) საქმე იქამდე მისულა, რომ 1726 წლისათვის მონასტერი მოლად დაცულია. ამის შედეგად, 1733 წელს, როგორც ჟღვ-სიტის წარწერები გვამინოს, გიორ ამილახორს (ქა შეორე გიორა) და მის მეუღლეს ბანგუას შეუკეთებით გვლესიები (ნათლისმცემლის, ღვთისშიმობლის, შიოს სასაფლაოს და სხვ.). მაგრამ 1735 წელს შაპ-ნადირის მარბილებია ქარმა შიომღვიმის მო-ნასტერი საფუძვლიანად დაანგრია და ბერებიც ერთიანად ამოხცყა. მტრის ღამექარს ზოგჯერ ქართველი დიდებულებიც ეხმარებოდნენ და შიომღვიმის მონასტერთან საად-გილამულო ნიადაგზე არაკეთილი განწყობილება-დამოკიდებულების გამო ღალატ-საც არ ერიდებოდნენ.

მტრის მრავალგზისი შემოსევის შედეგად შიომღვიმე დაუკა და დაუძლეურდა. მართალია, მონასტრის საკეთილდღეოდ ენერგიულად იღწვოდნენ ქართველი მეუღები (ერველე შეორე, გიორგი მეთორმეტე) და სასულიერო პირი, მაგრამ მონასტრის გა-დარჩენა მოახლოებული აღსასრულისაგან ჰკვე შეუძლებელი იყო.

1804 წელს მონასტერი ერთხელ კიდევ დაარბიეს აჯანყებულმა გლეხებმა.

1811-1822 წწ. შიომღვიმის მონასტერი აღმინისტრაციულად ჯერ შეერთებულ იქნა ქვათახვების მონასტერთან, შემდეგ კი — 1822 წლიდან 1887 წლამდე თბილისის ფერისცვალების მონასტერთან. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის შიომღვიმის

შონასტერი, როგორც ფულდალური სენიორია, აღარ არსებობს, ის საკულტო დაწესებულებად-და ჩრდის.

შიომლების არქიტექტურული ანსამბლი გაშენებულია განცალკევებულ ხეობაში, რომელსაც ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ციცაბო კლდები დაპყრებს. შონასტერში მისვლა შეიძლება ქ. მცხვიდან გაყვანილი კეთილმოწყობილი სამანქანო გზით.

შონასტერის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში გაერთიანებულია სხვადასხვა დროისა და დანიშნულების მრავალი ცოვანი ნაგებობები, რომელებიც ძირითადად განთავსებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაბრივ გორაკებზე. ტერასის გებურად.

სამონასტრო ანსამბლის ძირითადი შემნებლობის ეტაპები, დაწყებული VI საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, შესწავლილი და გამოკვლეული აქტების აკადემიკოს გ. ჩებინაშვილს.

ლავრის უძველეს ნაგებობას წარმოადგენს ეკლესია, რომელსაც წმ. შიომი თავისი ხელით ჩაუყარა საუკუნეებით. ეს ნახევრადმლევიმური შენობა მარტივი ჯვრის გვემის მქონე გუმბათიანი ნაგებობაა. იგი აგებულია VII საუკუნის 50-60-იან წლებში. ძეგლი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საჭართველოს გუმბათოვანი არქიტექტურის განვითარების საწყის ეტაპებზე.

ეკლესიის ნამდევილ სამეცნიერო წარმოადგენს XI საუკუნის პირველი შეოთხედის კანკელი. ითა შწეანე ფერის ტუფისაგან გამოივეთილი კანკელი გამოირჩევა მაღალისტატერად შესრულებული რელიეფებითა და ორნამენტებით. რელიეფების თემატიკა არ იზღუდება მხოლოდ ბიბლიური და სახარების ხიუკეტებით. აქ წარმოდგენილია სირიელი მოწამის სვიმეონ მესვეტისა და წმ. შიოს ცხოვრების ამსახველი სცენები. აღსანიშნავია აგრეთვე მრგვალი ქანდაკებებითა და ორნამენტით შეკული „სვეტის“ ფრაგმენტი, რომელიც ნათლისმცემლის ეკლესიაში იქნა აღმოჩენილი (ამგანად „სვეტი“ ინახება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში). კანკელი და „სვეტის“ ფრაგმენტი შესრულებული უნდა იყოს ერთ დროს, მონასტრის ერთ-ერთი მონაზონის მიერ.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ძირითადი ბლოკი გართულებულია სხვადასხვა დროის მინაშენებით (ეს სამწირველო-ეკვდერები აგებულია VI, XI, XV და XVIII საუკუნეებში). სამრეკლო აგებულია 1733 წელს გვიო ამილახვრის ინიციატივით.

XII საუკუნიდან მთელი ანსამბლის დამონაცვლის მიერ აგებული ღოთის დეთასმითობის დიდი ტაძარი წარმოადგენდა. თავდაპირველად იგი გრანიდოზელი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა იყო, რომლისგანაც დანგრევის შემდეგ ცოტა რამ გადარჩა. 1678 წელს ტაძარი აღადგანეს სამნავიანი ბაზილიკის სახით, თავდაპირველი გვემის ბაზაზე. XVII საუკუნის ბოლოს ტაძარი ხელმეორედ დაანგრიეს და 1733 წელს ფულდალმა გვიო ამილახვარმა ისევ აღადგინა. ამითომაცაა, რომ დღეს ძეგლი მხატვრულად გაორებულ შთაბეჭდილებას ახდენს — მისი შიდა და გარე ფორმები აღარ ეთანხმება ერთმანეთს. შეინით ძეგლი მოხატულია ზეთის საღებავებით (მხატვრობა შესრულებულია XIX საუკუნის 90-იან წლებში ეპისკოპოზ ალექსანდრე იქ-რობისიძის ინიციატივით, რომელმაც ღავრაში დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა).

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან ახლოს დგას სატაძოებოს ნაგებობა, რომელშიც ნათლად გაიჩინება ორი სამშენებლო ფენა: ერთი მიკეუთვნება XII საუკუნეს (საუკველი და სხვადასხვა დონეზე შემორჩენილი კედლები), ხოლო მეორე — ნაგე-



ბობის მთელი დანარჩენი ნაწილი, აგებულია XVIII საუკუნეში გივი ამილახვიშვის
მიერ.

მონასტერს სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის წვერიდან გადმოჰყურებს მცირებული
მის დარბაზული კულესია ჯვარის ამაღლებისა, რომელიც აგებულია XII საუკუნეში,
იმ დროს, როცა დავით აღმაშენებელმა ლავრაში გრანდიოზული მშენებლობა ჩატარა
(კულესის სამხრეთით მიშენებული სადგომი ოთხსართულიანი სამრეკლოთი, გვიანდე-
ლია).


ჯვარის ამაღლებია კულესია ფურადღებას იქცევს ინტერიერში შემორჩენილი
შხატვირბით, რომელსაც ჯურ კიდევ არ დაუკარგავს ფერების სიკაშეაშე და ფატიუ-
რის სიმკვრივე. ურესკების ძირითადი ტენა XIII საუკუნეს მიეკუთვნება, თუმცა
გვხვდება უფრო ადრეული ფენებიც.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაგებობებისა, სამონასტრო ასამბლში გაერთიანებუ-
ლია: ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთით — ორსართულიანი კოშეი (1733) და სა-
ცხოვრებელი ნაგებობები (XVIII-XIX ს.), შესასვლელთან — მღვიმე-ყვალესია
(მიოს მღვიმე VI საუკუნისა, კულესია XIX საუკუნის 90-იანი წლების),
რაღაც შენობის ნანგრევები (XIX საუკუნის ლიტერატურის მიხედვით-ბერთა სასაფ-
ლაო-აქლდამა). გალავნის ნაშთები („ბჭენი მონასტრისანი“ წერილობით შეკარიგებში
ისახიობა VIII და XII საუკუნეებში) და ჩრდილოეთი — სართულებად განლა-
გებელი ბუნებრივი თე ხელოვნური გამოქვაბულები.

შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურა ნათელ წარმოდგენას გეი-
შნის საქართველოში სამონასტრო ანსამბლების აღმოცენება-შენების ეტაპებზე.

ლავრაში სხვადასხვა დროს არა ერთ გამოჩენილი პირი მოღვაწეობდა: თვით
შიო, ბასილ კარიჭისმე (XI საუკ.), არსენ იყალონელი (XI-XII საუკ.), არსენ სა-
დირის ძე (XII საუკ.) და სპეცები. მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა პეონდა. ჩვენამდე
მოღწეულია მრავალი ხელნაწერი ამ წიგნსაცავდან.

საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის ქრისტიანი მნიშვნელოვანი კერა-
შიომღვიმის მონასტერი — თავისი მდიდარი ისტორიითა და არქიტექტურული ან-
სამბლით ჩვენი წარსულის სახელოვან ფურცლებს გვიშლის.



დევი გერძინიშვილი

ფ. გავაჩხმავილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
 ფონოგრაფიის ინსტიტუტის ცურავის მეცნიერით თანამშრომელი

კვეთი ქართლი

(მუკ ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობა)

„ქვემო ქართლი“ ტრადიციით შემორჩენილი, ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხისა. ეს ვრცელი მხარე აღრიცხავები ბუნებრივად იყო შემოსაზღურული ჩრდილოეთიდან თრიალეთის მერიდიანული ქედით, აღმოსავლეთიდან — გარე კახეთის ფრილიბებითა და აწინდელი აზერბაიჯანის მშრალი სტეპებით, სამხრეთიდან ბაშბაკ-ერევნის მთებით, დასავლეთიდან კი — ჯავახეთის ქედებით.

ბუნებრივი გარემოს იშვიათი სიმდიდრე და მრავალფეროვნება, რომელიც ამ ქვეყანას ახასიათებს: ტყისა და საშენი ქვის, სპილენძისა და რკინის მაღნის სიჭარებები, მონადირეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მევენახეობის დაწინაურებისათვის საუკეთესო პირობები, გზების მოხერხებულობა მეზობელ კუთხებთან ურთიერთობაში — ყველა ქსენი უძველესი დროიდანვე უპირველესი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ამ მხარის დაწინაურებისათვის. ამითომაცაცა, რომ აյ მოპოვებული არქოლოგიური მასალა მოწმობს თითქმის უწყვეტი ცხოვრების განვითარებას ძველი ქვის ხანიდან დღემდე.

ქვემო ქართლი სამი მხრიდან წყალგამყოფი ქედებით ისეა მორკალული, რომ ამ კუთხის ყველა ძირითადი მდინარე მტკვრის აუზის მარჯვენა სანაპიროში ექცევა. ასეთი ფიზიკურ-გეოგრაფიული გამოკვეთილობა არ შეიძლებოდა უძველესი დროიდანვე არ ასახულიყო აქეურ პოლიტიკურ-აღმინისტრაციულ საზღვრებში და მართლაც, ეს უკანასკნელი ხშირად თანხმდებოდა გეოგრაფიულს. ერთადერთი აღმოსავლეთის საზღვარი იყო მტკვრი და საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იყო იცვლებოდა. ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებით, ეს უძველესი საზღვარი აღმოსავლეთით ძველი წყაროების მდ. ბერდუჯშე, ისტორიულ ეკლეციის მდინარეზეა საკარაულო (თანამედროვე თაუზი). მის დასავლეთით უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი ხუნანი ანუ მნარაკერტი; ამისი გამომახილია აღმართ იაშტონდება „მდინარე ანაკერტისა“, რომელსაც ერთი ქართული წყარო იქვე ასახელებს.

ძველ წერილობით წყაროებს შემოუხახვეთ ამ მხარის სხვადასხვა შოგადი სახლწოდებან, რომელთაგან ზოგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნება, ზოგი ეთნიკურ-გეოგრაფიული, სხვა კი — აღმინისტრაციულ-ტერიტორიული თუ სამხედრო-აღმინისტრაციის მიერთება. ასეთებია: „ქვენა სოფელი“, „ქვემო ქვეყანა“, „გოგარენე-გეგარენი“, „ქართლი“, „ქვემო ქართლი“, „სომხითი“, „გარდაბნისა და გამიანის საერისთავონი“, „ტაშირ ძორაგეტის სამეფო“, „გაგისა და ღორეს სანაპირო საერისთავონი“, „სომხით-საბარათიანო“, „მეწინავე სადროშო“ და სხვა. ზოგად სახელთა ასეთი მრავალგვარობა აღნიშნავს ამ კუთხის საერთო კოთარების ხშირ ცვლას (ეთნიკური, აღმინისტრაციული), იმსაც თვალნათლივ მიგვანიშნებს, თუ ისტორიული გან-

ვითარების სწავლასხეა ეტაპზე რა უფრო მნიშვნელოვანი და განმასხვავებელი იქვემდა აქ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. მაგალითად: „ქვემა სუფლა“, „ქვემი ქვეყანა“ მიუთითებს იმაზე, რომ იგი ქვევით მდებარეობს მთკურულ-ჭიჭალუბით, რომ ამავე მდინარის შეუ წელშე ასეთივე, ოღონდ „შენა სოფელია“ ან „შიდა და ზემო ქვეყანაა“, რომ, მაშასადამე, ქვეყნის მხარეთა განსაზღვრა ხდებოდა უმთავრესი მდინარის — მთკურის დინების მიხედვით.

საქართველოს უძველესი აღმინისტრაციული დაყოფა გოგრაფიული ხევების მიხედვით ხდებოდა. „ქვევი“ იყო ძირითადი ტერიტორიალურ-აღმინისტრაციული ერთეული უკოდალურ საქართველოშიც, ოღონდ მისი მოცულობა ზოგჯერ ფართოვდებოდა, მეზობელ ხევებს იყრობდა და ხშირად მისი შინაარსი მთელ კუთხეს ფარავდა, ზოგჯერ კი ისევ შემცირდებოდა.

ქვემო ქართლის ასეთი ერთეულებიდან წყაროებს შემოუწავთ: „სკვრეთი“ (ვერც ხეობა), „პარუარი“, „მანგლისის ხევი“, „სამშევილდე“ (ანუ „ქციის ხრამი“), „ქვეშის ხევი“ (ანუ „დმანისის ხევი“), „ბოლნისის ხევი“, „წოფის ხევი“, „ქოლბის ხევი“, „ძორის ხევი“, „მნარაკერტი“ ანუ (ხუნანი თავისი ოლქი), „აბოცი“, „თრიალეთი“, „ტაშირი“ და „ქანგარი“. ასევე შემცირდებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან „მანგლისის ხევი“ ზოგჯერ მოიცავდა სკვირეთის ზემო წელსაც და ქციის ხრამსაც თრიალეთამდე. მისი ცენტრი იყო მანგლისი უძველესი საეპისკოპოსო კათედრალით.

„ქვეშის ხევი“ მაშავრის აუზს ფარავდა; აღმინისტრაციული ცენტრი აღრე აქ ქვეშის ციხე იყო, საკელებით კი — დამანისის საეპისკოპოსო ტაძარი. მოგვიანებით, როცა დმანისი ქალაქად იქცა, აღმინისტრაციულმა ცენტრმაც იქ გადაინაცვლა, რაც აისახა კიდევ დასახელებაში: „ქვეშის ხევი“, „დმანისის ხევი“ შეიყალა.

ფოლადაურისა და შელავრის წყლის აუზებს „ბოლნისის ხევი“ აერთიანებდა, რომლის ცენტრი იყო ბოლნისი. აქვე იყო ბოლნისის სიონის ტაძარი — უძველესი დროიდანვე საეპისკოპოსო კათედრად ქვეშლი.

„წოფის ხევი“ მოიცავდა ბანერ-ჩაის ხეობას (დებედას ბარცხენა შენაგადი) და დებედას ქვემო დინებას; მისი ცენტრი წილის ციხე იყო.

„ქოლბის ხევი“ და „ძორის ხევი“ შესაბამისად აწინდელ ინჯახი და აღსტაფის მდინარეთა აუზებს ემთხვეოდა, პირველის ცენტრი კოლბი, ხოლო მეორისა კაენის ციხე იყო.

შემდეგ მოდიოდა ციხე-ქალაქი ხენანი (პარაკერტი) თავისი ოლქით; იგი, როგორც ჩანს, შეიცავდა ისტორიული კლეისისა და ანაკერტის მდინარის ხეობებს, ზოგჯერ აქვე იგულისხმებოდა „ძორის ხევიც“. ხენანის საეპისკოპოსო კათედრა თავის ეპარქიაში აერთიანებდა წოფის, კოლბის და ძორის ხევებს.

თბილის თავისი ოლქი კრა გარს, მას „პარუარი“ ეწოდებოდა და აერთიანებდა ქალაქის პირის სოფლებს მთკურის დაყოლებით.

იმ ოლქებიდან, რომლებიც მთკურის პირს არ სწოდებოდნენ, უკიდურეს სამხრეთით იყო „პანგარი“, იგი უნდა უდრიდეს შემდეგი დროის ბამბაქს მდ. ბამბაქის წყალშე (მდ. დებედას სათავეებთან). მის დასავლეთით იყო „აბოცი“ (ანუ „აშორი“) ცენტრით ყაიკულში (ყაზანი). ას უკანასკნელის აღმოსავლეთით იყო „ტაშირი“, რომელიც ტაშრატაფის პლატოს მოიცავდა (დებედას მეორე სათავესთან); მისი ცენტრი ოძუნში იყო, შემდეგ კი ლორეში რომლის სახელწოდებამ მოგვიანებით მთელი ოლქი დაფარა. „თრიალეთი“ — მდ. ქციის ზემო წელშე, ვრცელდებოდა მთელი

გარდა ამ შედარებით მცირე ერთეულებისა, ქართული წყაროების მიხედვით, ჰქონდა

მო ქართლში ორი საეკისტავო არსებულა ქართული სახელმწიფო ბრიონის გარიერა-
ფიდან: გარდაბნის ანუ ხუნანის და გარიანის ანუ საშშილლის საერთო თავონი. პირველ-
ში შედიოდა: ხუნანი (პარაკერტი), ძორის ხევი, კოლბისა და წილის ხევები, მეორეში
— ყველა დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილთაგან, მაგრამ ეს დაყოფაც არ ყოფილა შედ-
მიერ და იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაციის შესაფერისად.

ხუნანისა და სამშენებლის საერთოსავოებრ ძეველი ქართლის სამეცნის მინიშვნელოვანი სააპირო ოლქები ჩანან. ქართული ჭყაროების მიხედვით, ისინი სამეცნი სახლის მუდმივი საურნავაჟი წარმოადგენდნენ; მიზოობაშა მათ ზშირად მართვდნენ ქართლის სამეცნი საგარეულოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეამომავლები.

ქვემო ქართლის ეთნიკურ-გეოგრაფიულ სახელთაგან აღწერულდა ლური ხანის ქართული და უცხოური წყაროები ახსენებენ გოგორენე-გუგარქსა და ქართლს. ამათ-გან პირველი უცხ წყაროებში იხმარება ძველი წელთაღრიცხვის დასასრულიდან მუა საუკუნეებამდე და სხვადასხვა ავტორებთან ჩხრიად იცვლის შინაარსს. როგორც ჩანს, კოგარენე-გუგარქი უკველესი სახელია საქართველოს რომელიდაც სამსრეთი სანაპირო თემისა, იგი აღრევე დაკარგულა, კითარცა ცოცხალი ერთეულის ამსახველი და ზეპირ თუ მწიგნიბორელ ტრადიციად შემოწინილი, ხან მოულ სამსრეთ საქართველოს, ხან ქვემო ქართლის რომელიმე ნაწილს გულისხმობს. აღაანიშნავთ, რომ ეს სახელი სრულიად უცნობია ქართულ წყაროებში, რომელთაც ასეთ პირობებში უპირატესი მნიშვნელობა აქვთ; იქ კი ქვემო ქართლს შოგადად „ქართლი“ ეწოდება. ასე პერია მას უძველეს ქართულ წყაროში — იყომ ცურტაველის თხზულებაში (V ს) და ამ ქართლშია ვარსექნ პიტიახშის (ჭვეულის თავი — მთავარი) რეზიდენცია ცურტავი.

ამ შეარჩის უძველეს შემართველობა შეირიც ჩაინან ქართლის პიტიახშები. ეს ძლიერი და საგვარეულო საუკუნეთა განძავლობაში განაცხებდა სხვადასხვა ხევებს ქევმო ქართლისას. საპიტიახშის მირითადი ტერიტორია შეინც სამშევილდების საერთო უნდა ყოფილიყო, თუმცა ზოგჯერ მათი ბატონობა მოჰელ ქევმო ქართლსაც სწოდებოდა. ასე უნდა ყოფილიყო მაგალითად ვარსექნ პიტიახშის დროს — V საუკუნეში, როცა მან შეარჩეოს მეყისი ერთგულების გამო ქრისტიანობა მიატოვა და ცოლიც წამებით მოქლა ამ ნიადაგზე. შეპისაგან განდიდებული მოღალატე პიტიახში ვახტანგ გორგა-სალმა მოაკველეობინა. მისი მეფობის პერიოდში ისტენიება „ნერსარან, ერისთავი ხუნანისა და ადარნასე, ერისთავი სამშევილდებისა“ პიტიახშები ქევმო ქართლში ამის შემდეგაც არიან და უკანასკნელად ისტენიებიან VIII საუკუნეში, როდესაც მათი შეთმოვალი სამშევილდების დიდებულ სიონს აგებუნ. (იქ არსებული ძევლი კულების აშენებას ტრადიცია ვახტანგ გორგას სასახლის ფრადა მიაწერს).

ხაზგამით აღსაიშნავია ამ შეარტი შემორჩენილი აღრუფებულები ხანის მატერიალური კულტურის პირველხარისხოვან ძეგლთა სიმრავლე. უძველესი ციხე-ხამაგრების, ციხების, ხაგპისკომპის ტაძრების დაარსება და აგვარა თითქმის ყველა სამართლო ხანლის წილებს მიერწეობა. მანგლისის, საშვილდის, დღანისის, ბოლნისის სიონები — ღვთისებრობის სახელობის ეს უძველესი ტაძრები, ძელიჭეშმარიტი და ახტალა — არა მარტო ხუროთმოძღვრული მიღწევებია ქვემო ქართლისა, ისინი ამ უპარატითა მრევლის სიმჰილითოვანა და სიმდიდრულეები ციტვილებენ ჰულტურულ

ტრადიციებთან ერთად. VI საუკუნის ერთ საეკლესიო კრებას ამ კუთხის შესრულებული კოპისი ქსერებოდა...

არაბთა გამოწერას, შემდეგ კი საუკუნოვან ბატონობას, დიდი ეკლესიურობრივი მოქმედი მოძღვა ამიერკავკასიაში. პირველ ხანებში მათ მოელი ქვემო ქართლი ეყვრიათ, მათი ბატონობის დასახულს კი ამ შზარები სამი დიდი ერთეული დარჩია: ტა-შირ-ძორაკერტის კვირივიანთა სამეფო, თბილისის საამირო და გლოდვარის საერის-თავი, რომელიც დიპარიტ ბალვაშმა შექმნა XI საუკუნის 70-იან წლებში.


საქართველოში თურქ-ხელჩუკების შემოსვლამ და მათთან დავით აღმაშენებლის ძლევამოსილმა ომებმა სწორედ ქვემო ქართლის ტერიტორიაშე, დააჩქარა ამ ერთეულთა ხელახალი გადანაწილება. ამიერიდან ეს შზარე დავითის მიერ ხმლით აღეზული ქვეყანა იყო და მას მეუის ერთგული მოხულენი განაგებდნენ. ამით აიხსნება ის, ერთი შეხედული წინააღმდეგობრივი ფაქტი, რომ ქვემო ქართლის აღრუელი ხანის შეხელი ერთეულები სწორედ საქართველოს გამაერთიანებელ მეუეთა ხელში იშლება შედარებით მრავალრიცხოვნ, მაგრამ მცირე საციხისთავო ქვეყნებად.

შეაგეოდალურ ხანაში აღარ იხსნიება გარდაბნისა და გაჩიანის საერისთავონა, იმდროინდელ წყაროებში ქვემო ქართლი წარმოგვიდგება როგორც ცალკეული ციხეგვებისათვის დაქვემდებარებულ ტერიტორიათა კრუელი. უნდა აღინიშნოს, რომ აღრეფეოდალური ხანის ხევი მომდევნო ხანებშიც რჩება ქვეყნის აღმნიშვნელ ერთეულად, მაგრამ განმირებული ომების გამო, აგრეთვე ფინდალური ურთიერთობის ახალ საფეხურზე ასელის შედეგად, უფრო მეტ მნიშვნელობას იძებნენ ციხეები, ციხე-ქალაქები თავისი „შეავალი“ ქვეყნებით. ამის გამო, რომ პუნქტების, ცენტრების სახელები ახლა მოელ ხვევებს, ქვეყნებს, ეწოდებათ. მაგალითად, „ეუეყანა თრიალეთისა“ იცვლება „კლდევარის საერისთავოთი“, „სამშვილდე“ მხოლოდ ციხე-ქალაქს კი არა — უკვე ქციის აუზის შეა და ქვემო წელსაც აღნიშნავს, ამიტომაც იხსნიება „კოველი სამშვილდე“, „სამშვილდის ბარი“, „სამშვილდის ტბანი“ (თუმცა ერთიცად და მცირეც საკმაოდ დამორჩებულია ამ ციხე-ქალაქს); ასევე „ბოლნისი“, „დმანისი“, გვხედება „ლოკის ერისთავიც“ (ლოკი ციხეა ტაშირის საზღვრად)...

ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, რომელიც ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს მოიცავდა, XI საუკუნეში მოისპო. სწორედ ამ დროიდან შემორჩია ამ შზარეს სახელად „სომხითი“, რასაც მხოლოდ ქართულ წყაროებში ვხედებით. ასეთ დასახელებაში უნდა ასახულიყო ქართველთა ხსოვნა ტაშირელ კვირიკიანთა აქაურ ბატონობაშე. სავარაუდოა, რომ სომხური მოსახლეობის ტალღები მოიმატებდა, განსაკუთრებით განაპირა რაიონებში, მაგრამ ქვეყანა რომ მუდამ ქართული რჩებოდა, ამაზე შესანიშნავად მეტყველებს აქაური ველებია-მონასტრების შენებლობა და შერჩენილი წარწერები, რომელთა დიდი უმრავლებობა ქართულია.

X—XIII საუკუნეები ამ შზარის ისტორიაში დიდი აღმშენებლობისა და აყვავების პერიოდია. საქართველოს სამეფო სახლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მას — აგებს ხიდებს, ფუნდუქებს, ციხეებს, სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებს. ამინი ახსნა ქვემო ქართლის დიდ ვეონომიურ მნიშვნელობაში უნდა ვეძიოთ, განსაკუთრებით კი ძვირფასი წიაღისეულისა და რკინის მაღნის აქაურ მდიდარ საბაზოებში, რომლის წარმოების მძღავრი კერძები არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

ამდროინდელი ქვემო ქართლის ციხე-ქალაქებიდან, სამშვილდესა და დმანისთან



ქრთად, განსაკუთრებით დაწინაურდა ლორე და გაგი. შეაფერდალურ ხანაში და ნი თი სანაპირო საერთიანოს ცენტრებად იქცნენ. გაგის ილქ მოიცავდა ტერიტორიას ქურდაჭრის ხვეიდან (ამგამაც დღებება) კულეცის მდინარემდე (ტერიტორიაზე მტკვრიდან სკვანის მოებამდე. XIII საუკუნეში გაგის საერთიანოს აღმოსავლეთი ნაზღარი ჰყავს შემორის მდინარეზე გადიოდა. ამ ვრცელი ქვეყნის ერისთავები, დიდი და გაფლენიანი ფეოდალები, მთავარი პუნქტის სახელის მიხედვით გაგდებად იწოდებოდნენ.

ეკიდურები სამხრეთი საერთიანო ქვემო ქართლისა იყო ლორე. იგი აერთიანდა ტაშირს, ბაშბაქს, მდინარების — დებედას, ინჯისა და აღსტაფის წყლის ზე-მო წელს. როგორც სანაპირო, დიდი მნიშვნელობის ციხე-ქალაქი, რომელიც პირველი ხვდებოდა სამხრეთიდან მოსულ მტრის ძალებს — ლორე საქართველოს სამეფოს ამინისპასალარების (სამხედრო ნინისტრი) საჯდომ ქალაქად ითვლებოდა. XIII-XIII საუკუნებში ლორე მიჩნეულ იყო „სომხით, სომხუა მეუას ადგილად“, რადან აქ მჯდომი ქართველი მოხელე იყო საქართველოს მფარველობის ქვეშ. მამალიანთაგან განთავისუფლებული სომხეთის დიდი ნაწილის გამგებელიც.

XIII საუკუნიდან მიყოლებული, ქვემო ქართლი მთელ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად ძნელბედის ხანგრძლივ პერიოდს განიცდის მონგოლების ლანგ-თემერისა და სხვა მომთაბარე ტომების შემოსევათაგან. ეს განაპირა ქვეყანა, რომელიც შემოსეული მტრის პირველ დარტყმებს იღებდა, განსაკუთრებით შიანდებოდა საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით. ამას გარდა ყველა ის ძნელბრივი პირობები (მაგისტრალური, საქართვო გზების სისტემა, პირველხარისხოვანი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაონიები), რომელიც შევიდობასანობის, შესაფერისის პოლიტიკური სიტუაციის დროს ამ შეარის დაწინაურებას, აყვავებას აჩეარებდნენ, ახლა — მომთაბარეთა სამსაკუნოევანი შემოსევის დროს პირიქით, დამღუცველად მოქმედებდნენ. გზისპირა მოსახლეობა ჩანაცდებოდა, გარბოდა, ხოლო საძოვრებად ქვეულ ქვეყანას, აგრე მიმზიდველს მტრისათვეს, მომთაბარეთა საქონლი იჭერდა. ამიტომაც იყო, რომ XVI საუკუნის მეორე ნაცვრისთავის ქვემო ქართლში ძველი მოსახლეობის შესამცირდა შერჩა.

XV საუკუნის ბოლოს საქართველო სამეფო სამთავროებად აღმოჩნდა დანაწილებული, რასაც XVI საუკუნეში მოჲყა ქართლის სამეფოს ოთხ სადრომოდ დაყოფა (სადრომო სამხედრო ერთეული იყო, ომის დროს განსაზღვრული ითვენობის ჯარის გამომყვანი). ქვემო ქართლი „შეწინავე სადრომოს“ წარმოადგენდა, რომლის სარდლებად ბარათაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს წევრები გამოდიოდნენ. აღნიშნელი საგვარეულო XV საუკუნიდან გვნედება ამ შეარეში. ეს ენერგიული ფეოდალები თანდათან თითქმის მოელ გუთეზე ავრცელებენ თავიანთ ბატონობას, რის გამოც „საბარათაიანი“ ეწოდებოდა მანგლიისის, ცეიის მაშავრის ხეობათა აუზებს; მათ ქვემო ქართლის სხვა ნაწილებშიაც კეუთმოდათ ცალკეული სოფლები. შემდგომ შანებში ამ საგვარეულოს გამოყენობის მიზანით მოხელი მოხელი მაშავრის ხეობაში დამკვიდრდა, ამიტოდან იგი „საორბელოდ“ იწოდებოდა.

ქვემო ქართლის ერთი ნაწილი, რომელიც „სომხითის“ სახელწოდებით შერჩა XIX საუკუნემდე, სამეფო იყო და მას მოურავი მართავდა. იგი დებედის ხეობიდან მაშავრის ხევამდე კრცელდებოდა.

ქართლის სამეფო სახლს კეუთმოდა მიწები თრიალეთში, ტაშირში, ყაისულ-სა და ამ კუთხის სხვა ნაწილებშიც, მაგრამ იქ მოსახლეობა ისე შემცირებულიყო, რომ

ქვეყნის მესვეურნი საგანგებო ღონისძიებებით ცდილობდნენ მათ მოზიდვას. ამ მოა-
წალი სოფელი მოშენდა. მაგალითად, რთულობის დროს (XVII საუკუნის) — გა-
ნახლდა თუ თავიდან აიგა არაერთი კელებია-მონასტერი, ხიდი და უწერდეს კა აღმ-
შენებლობა გრძელდებოდა შემდეგაც, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იყო ცდები მი-
ტოვებული კელებლისა და რეინის საბაზოების აღდგენისა, საირიგაციო სისტემის
მოწესრიგებისა ქვემო ქართლის ბარში... ვახტანგ VI (XVIII საუკუნის I მეოთხედი)
სამართლის სპეციალური მუხლით, მებათონეს უფლება ქეონდა გაქცეველი ყმა-გლე-
ხი 30 წლის განმავლობაში უქმნა, ხოლო თრიალუთში დასახლებული და 12 წლის
განმავლობაში იქ ნაცხოვერები გლეხი ძეველ პატრიონს აღარ უბრუნდებოდა. „დასტურ-
ლამალის“ მიხედვითაც (არაულ-სპარსული სიტყვაა, რაც „განწესებათა წიგნს“
ნიშნავს), ყაიულში ახალმოსახლე კაცი ერთი წლის განმავლობაში თავისუფალი იყო
ყოველგვარი გადასახადისაგან. მაგრამ მთელი ეს ღონისძიებანი ნაწილობრივ შეე-
ლოდა ქვემო ქართლს, მოთლოდ დროებით და არამყარ აღორძინებას იწვევდა აქა-იქ.
დაუსრულებელმა მიმებია აღმოსავლეთის მამადიანურ სახელმწიფოებთან, მახ-
ლობელ თუ შორეულ მომთაბარებეთან, რომელსაც ქართლის სამეცო აჭაროებდა
გვიანესოდალურ ხანაში, მისი საზღვრების შემიტრებაც გამოიწყია. XV საუკუნის
ბოლოდან ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში იწყება თანადათანიბითი შემოსახ-
ლება თურქულენოვანი მოსახლეობისა. XVI საუკუნეში აქ ჟევე ყაზახის მამადიანუ-
რი სახანო გვიმეზობლდება, ხოლო უკიდურეს სამრეც ნაწილებშიც თურქულენოვანი
ტომები სახლდებან. აღნიშნული პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა და
ქართლის სამეცო ყოველ ხელსაყრელ მომენტში არბერდა ან ცდილობდა დაემორ-
ჩილებინა ეს განაპირო სახანოები. ერებლე შესუსტ მაგალითად, უმორჩილებოდა არა
შარტო ყაზახისა და შამშადილოს სახანოები, არამედ განჯისა და ერევნის სახანოე-
ბიც ხარგ ხეზიდნენ, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ქვემო ქართლის O და S
საზღვრებია.

XVIII საუკუნისათვის ქვემო ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე დებე-
დაზე გადიოდა, სადაც ჯერ კიდევ შაპ-აბაში ჩამოსახლა მომთაბარე ტორჩა-
ლე (ეს სახელი დარჩა მას სულ ბოლო ხანებამდეც).

ლეგიანობა ის უხედურება იყო, რომელმაც საბოლოოდ გააქეცრიულა ქვემო
ქართლი, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქაური ძეველი მოხახლეობა თითქმის სულ
გაწყდა ან აიყარა, შემდევ ახალი განწყდა, ჯერ თურქულენოვანი ტომებისა, მერე ყა-
რაბალიდან გადმოსული სომხებისა, შემდევ არზრუმის მხრიდან მოსული ბერძნებისა
და ბოლოს ქართველებისა — ჯავხეთიდან, შიდა ქართლიდან და კახეთიდან.

ყოველიც შემოთქმილია გათვალისწინებით, გაბაგები ხდება, თუ რატომაა ქვე-
მო ქართლის ტოპონიმიკა დღეს ასე უტყვი საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარე-
ბით. სხვადასხვა პატარა თუ დიდი მიწების მრავალრიცხვობანი სახელები, რომელმიც
ციცულად იყო ასახული ქართველი გლეხის ნაირულობისანი შეურნეობა, მთისა და
ბარის დამახასიათებელი ტოპონიმები აქ თითქმის უცხოა; უცხოა, რადგან გვიან შე-
მოსახლებული არაქართული ტომები და მათ შეურნეობა ასეთს არ საჭიროებდა, რის
გამოც ძეველი იყარებოდა. ახალმოსახლეთათვის სკომარისი იყო ზოგადად „ყარაბაღ“
(„შავი მთა“), „ყარაღაზ“ („შავი ტყე“), აღქამნდა („თეორი სოფელი“) და სხვ.
საუკუნესო შემთხვევაში აქაური, ძეველი ქართული ტოპონიმები დამახინჯებული ან
თარგმნილი შემორჩენილა: „კუდრო“ — „ლედური“, „სახუნდარი“ — „საუნდურ“,
„ქატაგვითი“ — „ფერი ქმანდ“ და სხვა.



ასევე დაკარგული და თავიდან საძებარი შემოგვრჩა მდინარეთა სახელები: წილიული ლებიც ჩვეულებრივ შეტ გამზღვობას იჩინენ); ბერდუჯი, მდინარე ანაკერტის წერტილი და სხვა; მინშენელოვანი პუნქტები: ხესანი, გაგი, გაჩიანი, ქავაზინი, აგარანი, გრიგოლწმიდანი და სხვები, რომლებიც შემოლოდ წყაროებშილა მოჩანს. ამიტომ ძველ წყაროებსა და საბუთებში დამოწმებული ისეთი სახელები, როგორიცაა: ნაქალაქევი (წულავერთან), დარბაზი (სარაჩლოთან), ტალავერი (ფახრალოთან), თედორ-შემიდანი (ვანქი წითელბოჟელთან), გონბადი (ივევე წულრულაშენი), მუხრანა, წყნეთი, სატრედო, ყორანთა, საბერეთი, დაგითსაგარეჯო (აჭინდელი დაბა ბოლნის მიდამოებში), ნახიდური, თავმრგვალი ქცილა, (არუხლოსა და ქოსალარის მიდამოებში), სენები და ბერიქალი (ტანძის მახლობლად), ავაზანი, ჯვარი, ბურვილი, დრანეთი (ირაგის ირგვლივ) და მრავალი სხვა, ისევე როგორც თრიალეთის სოფელთა ძველი სახელები, უნდა ამიოკრიბოს, თავ-თავის ადგილზე აღდგეს. ოღონდ ეს არ უნდა მოხდეს ნებისმიერად, როგორც გაკეთდა მაგალითად ბოლნისისა და დმანისის ჩაითვალი ცენტრების შიმართ...

ძველი ტოპონიმების აღდგენას მეცნიერული და სახელმწიფოებრივი მინშენელობის გარდა, შემცნებითი ღირებულებაც გააჩინა; მაგალითად, აჭინდელი არუხლოს აღგილას 1118 წელს იხსენიება „ნახიდური“, ეს კი აქ ხიდის არსებობაზე მიუთითებს გაცილებით აღრეც. თურქებთან სალაშეროდ მიმავალი დავით აღმაშენებელი სწორედ აქ შეჩერებულა „და ზატკიც გარდაიქადა ნაკიდურს“. მოხერხებულ გუასაყარზე არსებული მინშენელოვანი პუნქტი („ქართლის ცხოვრებაში“ ხშირად მოხსენიებული), სადაც ხიდი არსებულა ძველი დროიდან დღემდე (ახლა მოქმედი ხიდიც იქვე) — აი, რას გვაგონებს ეს სახელი. ამიტომაც ძველი ქართლის ძველი ტოპონიმები ისეთივე ძველებია, რომლებიც შესწავლის გარდა მოვლასა და პატრონობასაც საჭიროებენ.

კვები ქართლის უძველესი ნასოფლარები

ქვემო ქართლი, საქართველოს ეს ძველთაძეველი ისტორიული პროვინცია და კულტურის უძალენობის კურა, უკვე კარგა წანია ცნობილია სხვადასხვა სახის უძანიშნავი ძეგლებით — ციკლოპური ციხე-სიმაგრეებით, ციხე-ქალაქებით, ნასოფლარებით, ტაძრებით, სამაროვანებით და სხვა. მაგრამ ბოლო დრომდე არავინ იცოდა, რომ აქედა მოიპოვება კაფასიაში ჯერჯერობით უადგენი მცირები დასახლების ნაშთები — ხელოვნური ბორცვები თუ გორები, რომელებშიც ჩამარტულია უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის ნასოფლარები. მათი არსებობა ცნობილი განდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ბორცი ძლიერ დაშინდა ან მოლიანად განადგურდა კიდევ; ასე მოხდა მარნეულის რაიონში 1964 წ. მიმდინარე დიდი სასოფლო-სამურნებული ხამუშაობის დროს; აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონში, რომელიც ქვემო ქართლის ვაკის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, ძევლი ნასოფლარები გამოინდა ურთა წლით ადრე, ანალოგიურ ვითარებაში. როგორც ქვედავთ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების ამ გზით აღმოჩენა, ჩვენთან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია.

გამოვლენილი ნასოფლარები ეკუთვნის მეტად არქაულ კრთან ეკლესიას, რომელსაც თავდაპირებელი აღმოჩენის ადგილების მიხედვით, პირობით უწოდებენ შოშუ-თუფე-შულავერის ეკლესიას. დღეს ჩვენ უკვე ვაჟა-პეტერ შოთადი წარმოდგენა შეს ხასიათსა და ხეოვანებაზე, მაგრამ ნასოფლარების ჯეროვანი შექავლისათვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი; საკმარისია ითქვას, რომ ასეთი ნასოფლარების ნამდვილი რიცხვიც კი არ არის ცნობილი და არ არის მიღებული ზომები მათ აღსანუსავად და დასაცავად. არსებოთად, ამ კულტურას ჩვენ ვიყნობთ სამი ნასოფლარის — არქოლოს გორის, შედავერის გორისა და იმირის გორის შესასწავლად ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წყალობით და, ბუნებრივია, რომ პირველ რიგში მათზე შევაწერებთ ურადღებას.

ქვემო ქართლის ვაკის სადღეისოდ ცნობილი ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარები მდებარეობს მარნეულის დაბლობში, მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო ზორშე, რომელიც გადატიმულია 40-ოდე კმ მანძილზე და სიგანით ორიდან თხოთმეტ კილომეტრაშე დაბლობი აღწევს. ველი გადაკვთილი და დაყოფილია დაახლოებით თანაბაზ მონაკვეთებად ხრამის მარჯვენა თოხი შესაკადით — მაშავრით, საღწაღანის ღელით, შელავერის ღელითა და ღებედით (ბერდვეკით), სამხრეთიდან მას საზღერავს სომხითის მთისწინა გორები, წრდილოვანიდან — ხრამი.

ეს ადგილები, ისევე როგორც საერთოდ ქვემო ქართლის ვაკე, მეტად ნაყოფიერია შეოლოდ ხელოვნური მორწყვის პირობებში; ნასოფლარების ფენებიდან აღებული მტერიანაა ანალიზმა გვაწევნა, რომ ამ 6—7 ათასი წლის წინათ აქ სტეპური ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა ყოფილა და, მაშასადამე, ძევლი მოსახლეობას დაახლოებით ისეთივე რთული ამოცანები უნდა გადაეჭრა, როგორც დღეს—უნდა ეზრუნა ნათესების ხელოვნურ მორწყვაზე.

ბუნებრივად შემოფარგლულ ყოველ მონაკვეთზე შემორჩენილია რამდენიმე ნა-



სოფლარი გორა. ამჟამად ცნობილია მათი 4 ჯგუფი: ერთი — სოფ. არუბლისამან (ბოლნისის რაიონში), სადაც ოთხი ნამოსახლარი გორაა, მეორე — ადგილობრივი შედეგერში (მარნეულის რაიონში), სადაც ასევე ოთხი გორაა, მესამე — პლატფორმაზე თელსოფელთან (რკინიგზის სადგ. შელავერთან), სადაც ხუთი გორიდან ორიდაა გადარჩენილი, მეოთხე — სოფ. ყაჩაღანთნ, სადაც ოთხი თუ ხუთი გორა ყოფილა და დღეს კი მხოლოდ ერთია გადარჩენილი (სოფ. თაქალის მიდამოებში). ამათ გარდა აღნიშნულ ზონაში სხვა გორების აღმოჩენაცაა მოსალოდნელი.


ქველი ნასოფლარების ადგილას ხელოვნური შემაღლებები — ბორცვები და გორები გამჩენილია იმგამად საამშენებლოდ გამოყენებული ძირითადი მასალის — აღმის ნანგრევების დაგროვების შედეგად. ნასოფლარი გორები შეიცავს ერთიმეორებულ დაშენებული ნაგებობების მრავალ ფენასა და შრეს, რომლებიც წარმოშობილია მათი საწილობრივი გადაკვეთების ან ერთანი გადამენების შედეგად.

დღემდე არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ, რითი უნდა აიხსნას ადრეული ნასოფლარების მრავალფენანობა: კეონიმიური ცხოვრების ინტენსივობით, სწრაფი პროცესით და, მეორე მხრივ, შენობების სისუტით და მათი ხშირი განახლების საჭიროებით, თუ პირიქით — მეურნეობის პრიმიტიულობით გამოწვეული მიწის სწრაფი გამოფიტვით, რის გამოც მოსახლეობა იძლევებული იყო პერიოდულად დროებით მიერთოვებინა სოფელი, ახალ ადგილას დასახლებულიყო და როცა აქაც ამოწურავდა მიწის ნაყოფერებას, კელად დაბრუნებულიყო ძველ ნასოფლარზე? მაგრამ, ახალ-ახალი მასალები, რომლებიც სულ უფრო ნათლად მეტყველებენ ადრე-სამიწათომეობის სოფელების გვონიმიერებულ საქმით სიმღარეზე, თითქოს უფრო პირველ მოსაზრებას უქრის მსარს, ვიდრე მეორეს.

არუბლოს ნასოფლარების ჯგუფში დიდი ზომითა და საერთო იერით (დიამ. 150. სიმაღლე 6 მ.) გამოიჩინება ერთი გორა, ე. წ. არუბლო I, რომელსაც თხრის და სწავლობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის იმსტიტუტის ქადაგიცია ტ. ჩებინიშვილის ხელმძღვანელობით.

ქადაგიციამ გამოვლინა აღნიშის წრიული შენობების ნაშემბი, ქვის, ძვლისა და თიხის არქაული იერის ნაკეთობანი და ძველთამცველი არხების ნაკალევი. გამოიჩინა, რომ სოფელს, მისა არსებობის სხვადასხვა ხანებში შემოვლებული პერიოდი თავდაცვითი თხრილი. ადრეული თხრილი 2 მ სიღრმისა და 9,5 მ. სიგანისა ზოგილა და უფრო დიდ ფარობს საზღვრავდა, ვიდრე მეორე, მოგვიანო, თანაც მასში წყლი მიღდინებოდა. შესაძლოა, რომ გაზაფხულის წყალდიდობის დროს თხრილს ავსებდნენ მაშავერადან რუს საშუალებით გადმოგდებული წყლით, რომელსაც შემდგენ სარწყავად უკინებდნენ. მაგრამ, ამ საკითხისა და, საერთოდ, არუბლოს ნასოფლარების გაღრმავებით შექმნავდა მომავლის საქმეა.


ნასოფლარების ქვემო-შელავერის ჯგუფის ოთხი გორა განლაგებულია საღზაღანის ღელით, შელავერის წყლითა და ხრამით ბუნებრივად შემოსაზღვრულ ველზე, რომლის ფართობი 500-მდე ჰყებრარს შეგადევნს, აქედან 250 ჰყებრარზე მეტი სახნავ-სათებია და შეიძლება მოიწყას შელავერის წყლით (ამჟამად ეს ფართობი უკირავს დიდ ზვარსა და გერანის პლანტაციას და ირწყვის როგორც შელავერის ღელის, ისე ხრამიდან ამოქაჩული წყლით). ამრიგად, აქ ხელსაყრელი პარობები არსებონა და არსებობდა კიდევ მიწათმოქმედებისათვის.



ქვემო შედაცერის ნასოფლარების ჩრდილი

ერთი ამ ნასოფლართაგანი მიწის პირთან იქნა გასწორებული ზემოსხენებული უკრის ჩაყრის დროს და ამიტომ მას დანგრეული გორა ეწოდება (სამწუხაროდ, ქვემო ქართლის არცერთი ადრეული ნასოფლარი გორის სახელი ჩენ არ ვიცით. გვიანეთდაღური ხანის ბედუეულმართობის შედეგად ამ მხარის მკეიდრი მოსახლეობა თითქმის ერთნაირად განადგურდა და შეიცვალა ისეთით, რომელსაც არაფერი პერნიდა საერთო ადგილობრივ გარემოსთან და კულტურასთან — დაიკარგა ძველი ტრადიციები, გაქრა ძველი ტოპონიმები. ნამოთახლარი-გორების დღვენდელი სახელები — გვიათეც (მწვანე გორა), პარა-თაფა (ნახევარი გორა), სენჯი-თეფე (წრიული (?) გორა) და სხვა მხოლოდ მათი გარემონტული ნიშნების გამომხატველია და ცხადია, უმჯობესია, რომ ისინი კვლავ პირობითი, მაგრამ ქართული სახელებით შეიცვალოს, კიდერე ბედნიერი შემთხვევა საშუალებას არ მოგვცემს აღვადგინოთ მათი ნამდვილად ტრადიციული სახელწოდება).

მეორე ნასოფლარი, ე. წ. გადატრილი გორა, უშეალოდ შედაცერის დელის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს; მდინარეს მთლიანად მოურღვევია მისი ჩრდილოეთის ნახევარი და გამოუჩენია საამშენებლო ფუნქცია — ალიშის წრიული გუმბათიანი სახლები, ნაცრის შრები, არქაული ნივთიერი შასალა.




შელავერის გორა.
კანკაცია.

მესამე ნასოფლარი — შელავერის გორა, ველის შეაგულში მდებარეობს და, როგორც ჩანს, ის ნასოფლარების ამ ჯგუფის მთავარი და ყველაზე დიდი სოფელი ყოფილა. სამწუხაროდ, გორას უკვე მოწრილი პქონდა თხემი და გვერდები.

მეოთხე ნასოფლარი — იმირის გორა მდებარეობს სოფ. იმირის მახლობლად, შელავერის წყლის მარცხენა ნაპირზე. გორა არ იყო დაზიანებული, მას მცირედ გამორეცხილი პქონდა აღმოსავლეთი ნაპირი და ეტყომოდა ჩვეულებრივი ქრიზის კვალი.

საქ. მუშეუმისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეასწავლა და შეარჩია სწორედ ეს ერთიმეტრეს 2 კმ-ით დაშორებული ორი ნასოფლარი.




შეღავერის გორა.
შენობების ცანტრალური
კომპლექსი

შეღავერის გორა თავის დროის შოთარდილი სოფელი ყოფილა; მისი ფართობის დიამეტრი 100 მეტრს აღემატებოდა, ხოლო საუკუნეთა განმავლობაში აქ დაგროვილი საამშენებლო და სხვა კულტურული ნაშენების სიმძლავრე 7 მეტრს აღწვდა. რაյო გორას თხემი 3 მეტრზე პერნდა ჭავრილი, დარჩენილი ფენების სიმძლავრე 4 მ უდრიდა. 252 კვმ ფართობზე, რომელიც აქ გაითხარა, გამოვლენილი იქნა აღიშის შეტანაცემად მოზრდილი 32 ნაგებობის ნაშთი — საცხოვრებელი სახლებისა და სამურნეო შენობების კედლები, ესოვების შემომფარგვლელი კედლები და მრავალი თიხატებენილი, ცილინდრული მოყვანილობის თრმისცემური სათავეო, განკუთვნილი საკვებისა და წყლის მარაგის შესანახად. შენობათა ნაშთები განლავებული იყო ფენებად და თუმცა საკმაოდ ქაოტური შეცდებულება ქვენდა, რამდენიმე ადგილას მაინც მოხერხდა ერთიმეორულზე დაშენებული 8 ნაგებობის კვალის დადგენა. ამრიგად ირკვევა, რომ აქ ზოგან მაინც ერთ ადგილას რვაჯერ აეგიათ ახალი შენობა, მაგრამ ისაც ცხადია, რომ ეს თავისთავად არ უნდა ნიშნავდეს მოელი სოფლის რვაჯერ განახლებას; ზოგიერთი შენობა ამავე დროის განმავლობაში მხოლოდ ნაწილობრივ გადავეტებასთ — ზედა ნაწილი განუახლებიათ ან მაღალა აუწევიათ, იმის გამო, რომ ინტენსიური მშენებლობის შედევრად მის ირგვლივ ფართობი საგრძნობლად მაღლდებოდა. ეს უნდა მოწმობდეს, რომ სოფელს არც ერთხელ არ შეეწყვეტა არსებობა და არ განუედია ერთიანი ნერკვა და განახლება, არამედ ცვლილებები აქ გამოწვეული იყო დროთა მსვლელობითა და საერთო პროგრესით.

შეღავერის გორის ყველა ნაგებობა ძირითადად ერთი ტიპისაა; ისინი წარმოადგენ გეგმაზე წრიულ ან ოვალურ გუმბათურ შენობებს. საშენად ნახმარისა სხვადასხვაზომის ძირბრტყელ და საგრძნობლად ამოზურგული შეკრივი აღიში, რომელიც დაწყობილია თიხის ხსნაზე. საცხოვრებელი კომპლექსი შეიცავდა სახლს (12, 17, ზოგჯერ 4 კვმ ფართობით), წრიულსავე სამეურნეო სათავსოს — საკვების მარაგის შესახასა და თიხატებენილ „ორმოებს“ — უმთავრესად წყლის მარაგისათვის, რაც იმით აისწნება, რომ სოფელი საკმაოდ დაშორებული იყო მდინარეებისაგან. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ჩართული იყო აღიშის კედელში, რომელიც ღობავდა წრიულსავე სამეურნეო ეზოს. გათხრილი ფართობის სიმცირის გამო საცხოვრებელი კომპლექსი და მათი სისტემა აქ სრული სახით უკრ დგინდება.

საცნოვრებელ სახლს პქონ-
და ერთი პატარა კარი და სა-
ჩქერელი გუმბათში. კედლის
ძირში, თიხატევპნილ და მო-
ლექსილ იატაქში ჩასმული იყო
კურცისხებური თიხის ტერა,
რომელშიც ჩაჟერობელი ცეცხ-
ლი იასხებოდა. სამურნეო ცე-
ცხლი — კერა ან ეზოში იმარ-
თებოდა, ან თაღურად ამოვეა-
ნილ ღუმელში, რომელიც
სახლს გარებან პქონდა მიშე-
ნებული და პატარა სარქმილით
იყო მასთან დაკავშირებული.

ოთახებში და ეზოებში აღ-
მოჩენილია მრავალრიცხოვანი
სამურნეო და საყოფაცხოვრე-
ბო ნივთები: ობსიდიანის (კუ-
ლკანური მინის) საფხვები,
საჭრისები, დანები, სათლელე-
ბი, ნამცლის ჩასართი „კბილე-
ბი“, ქვის გახეხილ-გაპრიალე-
ბული ცულები, სანაყბი, სახ-
რეცბი და ხელსაფქვავები. შუ-
რდელის ქვები; ძვლისა და
იზის რქის თოხები, საჩიჩქინი
იარალები, საღვისები და სახვ-
რეტბი, შინაური საქონლის
ნეკნებისა და ბეჭებისაგან და-
მზადებული საპრიალებელი და
პირდაკბი ლ უ ლ ი „საბეჭავე-
ბი“, „დანები“, ფირფიტები,
კუჭები და სხვა. ობსიდიანის,
რქის, ძვლისა და ქვის იარალი
ძირითადად მიწათმოქმედებას
უკავშირდება; მეურნეობის ამ



შელავერის კორა.
№ 1 შემობაში ნაპოვნი
ნივთები

შელავერის კორა.
ქვისა და ძვლის იარალები



ეროვნული
მუზეუმი


შედაცერის კობა
თბილი ჭირვები



1

შედაცერის კობა
თბილი ქანდაკება





მიზრის გორა,
კანკავშია და ჭრილი

დარგის განვითარების მაჩვენებელია წონიბლისა და ქერის, აგრეთვე ყურძნის წილების აღმოჩენაც. უცხოულია, რომ მეურნეობის დასაყრდენი დარგი აქ მიწათმოქმედება იყო; მასთან ერთად ჟყვე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს მესაქონლეობა—აქ მრავლადაა ნაპონი ძროხის, ცხრის, აგრეთვე თხისა და ღორის ძვლოვანი ნაშთები; მცირე რაოდ დამობითაა ნაპონი გარეული ცხოველების ძვლები, ე.ი. ნანადირევი.

შეტად საყურადღებოა თიხის ჭურჭელი, შიხის ნატეხები შედარებით მცირებიცხვანია და გამოირჩევა პრიმიტიულობით: ნაძერწია ხელით, ტლანქად, ქვიშანარეფი თიხისაგან, გამომწვარია არათანაბრად და სუსტად. ჭურჭელი მარტივი ფორმისაა — ქილისებური; აქეს მცირედ დიუერნიცირებული ნაწილები; მხოლოდ ზოგიერთი ცალი გამოირჩევა დაბალი ქებლით ან ფეხითა და კონსური კოპებით პირის გაყოლებაზე. ორიოდე ჭურჭელს ამჟომას ტლანქად დაჭრესელი გეომეტრიული სახე, რომელიც კალათის წნულს უნდა ჰაძავდეს.




იშირის კორა.
საერთო ხელი ჩრდილო-
აღმოსავლეთიდან

ცალკე აღნიშვნის ღირსია თიხისაგან გამოძრული პატარა ფიგურა, რომელიც სქემატურად გამოხატავს ქალს და აღებასტრისაგან გამოთლილი მსხლისებური ტოყვანილობის ლახტისთვის.

სხვა შაქალებთან ერთად ისინი ცეტყველებენ აქ შეხორები საგვარეულო კოლექტივის სამეურნეო და სოციალურ დაწინაურებაზე. შაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქაური კულტურა მეტად არქაულია, ლითონის არავითარი კვადა არა ჩანს და უაჭველია, რომ შელავერის გორა წინ უსწრებს ამჯამად კარგად ცალბილ აღრებრინჯაოს ხანის ნასოფლარებსა და ენეოლითური პერიოდით უნდა განასაზღვროს. კიდევ მეტი, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ის უახლოვდება ნეოლითური ხანის ძველებს და შესაძლოა, ამ ხანის ბოლო საფეხურსაც კი ეცუთვნოდეს.

არქეოლოგიურ განსაზღვრას მხარს უჭირს ფიზიკური მეთოდით მიღებული თარიღები; შელავერის გორის ზედა და ქვედა ფენიდან აღებული ნახშირის ნიშეშებში რადიოაეტიოური ნახშირბადის (14) რაოდენობის განსაზღვრამ მოგვცა ნასოფლარის არ-

მარკოზის
სამუშაოები



იშირის ვორა.
საქოვორებელი შენობების
კომპლექსი

იშირის ვორა.
თიხის ჭურჭელი



სემობის ადრეული და მოგვიანო პერიოდის თარიღი, შესაბამისად — 3.955 ± 300 ძვ.წ., ანუ ძვ. წ. V ათასწლეულის პირველი, ზამთროდან, ძვ. წ. IV ათასწლეულის დამდეგამდე. ამის მიხედვით ირკვევა, რომ შეცდაგრისტიანულის დღემდე მიღწეულ ნაწილში ცხოვრება დაახლოებით 700 წელს გრძელდებოდა.

ასე თუ ისე, ჩვენ დარწმუნებით შევვიძლია ვთქვათ, რომ შელავერის გორა და მისი მშგავი ნასოფლარების ერთი ნაწილი მაინც სამხრეთ კავკასიაში სადღეისოდ ცნობილი უადრესი მეცნიერი დასახლებებია, — საგარეულო სოფლები, რომლებიც უძუარებიან ძირითადად სამიწათმოქმედო მეურნეობას. მისდევნ მსხვილფეხა და წირილფეხა რესანა ცხოველების მოშენებას, იყნობენ საჯახო ხელოსნობის სხვა-დასხვა დარგებს; მათ უკვე გააჩინათ არა მარტო შენებლობის პროგრესული ჩვევები — აღისის დაშავება-გამოყენება, ცრუ გუმბათის ამოყვანა და სხვა, არამედ მკვიდრი არ-ჟიტეტურული ტრადიცია, საცხოვრებლის ჩამოყალიბებული ტრიპ. ამასთანავე შეი-ნიშნება სოფიალური დაწინაურება და სულიერი პეტრების, კერძოდ რწმენა-წარ-მოდგენების მეურნეობის შესაბამისი ფორმები.

მაგრამ, შელავერის გორა საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ ჯერ ერ-თი — მოხდა თუ არა რაიმე ცელილება იმ ხანაში, რომლის ნაშთები განადგურდა თხემიდან მოჭრილ ფენებთან ერთად; შემდეგ — როგორ იყო აწყობილი სოფელი, რო-გორ იყო დაგეგმილი, რა ელემენტებისაგან შედგებოდა და სხვა.

ამ საინტერესო საკითხზე პასუხი უნდა მოგვა იმირის გორას, სადაც ზედა საამ-შენებლო ფენები ძლიერ დაშიანებული იყო და არ მოჩანდა. იმირის გორაც საგამოდ მოზრდილია, დიამეტრი მისი 90 მ უდრის, ხოლო სიმაღლე — 4 მ. მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნა, რომ ის შეიცავს შელავერის გორის ანალოგიური აღისის შენობების ნაწილობრივი და ერთიანი გადაშენების 6 პორიზონტს, გორის ჩრდ.-აღმ. სექტორში, 800 კეტ ფართობზე გაითხარა ძირითადად სამი — I, II, და V პორიზონტები, რამაც საგამოდ ნათლად გამოიჩინა სოფელის განაშენიანებისა და დაგეგმიარების თავისებუ-რებები.

გამოიჩინა, რომ არსებობის შედარებით მოგვიანო პერიოდში (ზემოდან I—V პორიზონტებში) სოფელს პერნდა საშუალო ზომის (დიამ. 12 მ.) ცენტრალური წრიული მოედანი, რომლის ირგვლივ გაშენებული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო შენო-ბების კომპლექსები ეზობენ. მოედანი დაფარული იყო დატეპიზილი ნაცრის სეკლი ფენით და შესამნევად ღრმავდებოდა შუაში. ეს იმით უნდა აისწანას, რომ ირგვლივ მდგარი შენობები მრავალჯერ ახლდებოდა, მათი დონე თანდათან მაღლა იწევდა, მო-დანი კი თავდაპირველ დონეზე ჩრებოდა.

ბერებად უფრო სრულად ჩანს საცხოვრებელი კომპლექსები და მათგან შედგენი-ლი „უბანი“ V პორიზონტში. მისი ნაგებობებიც წრიულად იყო განლაგებული ნაც-რიანი მოედნის გარშემო, რომელიც I—VI პორიზონტების მოედნის ქვეშ ექცეოდა და მისგან აღმოსავლეთით იყო მცირედ გადაცემის გა-შენებული. V პორიზონტი შეიძლოდა გა-შენებული. აქ თავისუფალ არებს ქმნიან მხოლოდ პატარა წრიული სამეურნეო ეზო-ბი, რომელთა შემომზღვდა აღისის კედლებში ჩართულია თითო მოზრდილი და რამ-დენიმე მომცრო წრიულ-გუმბათური შენობა. საცხოვრებელი კომპლექსი ერთიმერი-ზე გადაბმული. როგორც ჩანს ყოველი ასეთი კომპლექსი ერთი ოჯახის საცხოვრებე-ლი იყო, ხოლო მათი ჯგუფი — დიდი ოჯახის საცხოვრებელი სახლი.

შელავერის გორასთან შედარებით აქ ბერი რამ არის განსხვავებული, ბევრად უფრო თავისუფალი და მოწესრიგის გენერატორი, მეტალი იკვეთება კომპლექს-

ბი, შენობებში აღარ ვუდებით უქრობი ცეცხლის კერძოს, საოჯაზო ქარიგი გამო-
ტანილია ესოებში და სხვა. და ბოლოს აქვე, მხოლოდ სხვა საამშენებლო კონკრეტულ-
ტებში არის 2 ხრულიად სხვაგარი შენობის ნაშთი — დერეფნიანი წრიული კუთხე
რი შენობა № 8 და ორნატულები შენობა № 9—10, რომელსაც გააჩნდა ცუნტრალური
სის დედა-მოძი, კედლის პილასტრები, კერა, სამსხვერპლო ბაქანი, რომელიც
სხვა შენობებისაგან განსხვავებით გადახული იყო ცნდონიანი ბანით¹.

საერთობლად განსხვავებულია აქ აღმოჩენილი ნივთიერი მასალა.

ერთი სიტყვით, თუმცა მთელი რიგი ძირითადი ნიშნებით იმირის გორა განუ-
რელად ჟუავშირდება შელავერის გორას, მას შაინც გააჩნია თავისებურებანი, რომე-
ბიც მოწმობენ, რომ ამ ნასოფლარზე შელავერის კულტურის შედარებით დაწინაუ-
რებული საფეხურია ასახული.

იმირის გორას, არუხლოს გორის მსგავსად, აღმოჩნდა თხრილი თუ არხი, რო-
მელიც ჯერჯერობით მხოლოდ მის დას. შაბარება გამოვლენილი. ეს კიდევ მეტად
ამაგრებს მოსაზრებას იმ ხანაში პრიმიტიული სარწყავი სისტემის არაებობის შესა-
ხებ.

დღეს ადრეული დასახლებების ნაშთები ცნობილია საქართველოსა და აზერ-
ბაიჯანის ზოგიერთ სხვა შაბარებიც, აგრეთვე სომხეთში, შავრამ ჯერჯერობით ისე
ჩანს, თითქოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის კუთხით უკეთეს მძღვანელი კერა
ც. ჭ. V—IV ათასწლ. სამხრეთ კავკასიაში სწორედ მტკვრის დანების შეა წერი-
და ქვემო ნაწილში, კერძოდ, ქვემო ქართლში, უნდა ყოფილიყო.

შემდგომზე კალეგაზ უნდა გამოარყენის სამხრეთ კავკასიის ამ ადრეული ნა-
სოფლარების კულტურულ-ქრონოლოგიური ურთიერთმიშაორობა და ამასთან დაკავში-
რებული მრავალი საკითხი. ამგამად-კი შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ კულ-
ტურასთან გარედან (საფეხურებულია — მცირე აზიიდან) შემოღწეული კულტურის
ზოგიერთი ელემენტის შერწყმამ ბიძგი მისცა ჭ. ჭ. V—IV ათასწლეულის მეორე ნაშერ-
რისა და III ათასწლეულის ადრე ბრინჯაოს ხანის მძღვანელი, ჭ. ჭ. III. მტკვარ-არაქსის
კულტურის წარმოშობას.

¹ ქველის მეცნარი № 14, 1968 წ. ა. ჯავახიშვილი. უკეთესი საცხოვრებელი შენობები
საქართველოს ტერიტორიაზე (ჭ. ჭ. V—III ათასწლეულები).

კვები თაროლის სტატუს-ჯდრის

“კულტურული სფეროში: სიგრძე-სიგანით, აღმართ თუ კულტ, დაიღი სიზუსტით ანაწილებ აზრით ქონებას, — ჩვენ ცხოვრების კულტურული ფაქტში შენ ერთი ასამ გმევიან, — ცავი ლიტერატური აღმართ და კულტურული — მკაფიო გონიერა...”

ବ୍ୟାକ କ୍ରେଲାଶ୍ରୀଳ୍ପା, ପାନ୍ଦୁମଣି, 1972.

ჩვენი საკუნძის შეა წლებისათვის სტელა-ჯვრების და მათი ბაზისების შექმნა-ლისადმი ინტერესი არა მარტო მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც წინა წლების ნამეშვრებით იყო შეპირობებული, არამედ მცირე ხელოვნების ამ ნიშვნების შეწავლა კიდევ უფრო გაფართოვდა და გაღინდავდა, განსაკუთრებით მას შემდგრ, რაც ალ. (ლალი) ჯავახი ის კი ღმა დაწერა მონარქიული გამოკვლეულა, სამუშაოს, ჯერაც გამოკვეულნებული საღისეულო თავით ნაშრომი, რომელშიაც სტელები განისაზღოდოდა, რომელს გარევალი სტილისტური გამოხატვის მხატვე რე ი ნაწარმოებდა.

ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში აღმოჩენილი იყო განსაკუთრებული მინიშვნელობის რაზდენიმე იძიებული, მაგალითად ყაჩარი, პრდაძორის პატარა და დიდი სტელეფი, ხანდისის სტელა, პანტიანის სტელის ბაზისი, ლამაზი გორის სტელის ჯვრები. ეს (და სხვა აქ არ მითითებული) იძიებულები საშუალებას იძლევა ახლოებურად დაისახა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით მათი შექმნალის ამოცანა და ამნაშარმოებებში შესამჩნევ ხარისხშირი ცელილებათა საკითხი.

ადრესისტუანტები ხანაში, განსაკუთრებით VI ს-ში, ქართლში ფართოდა გავრცელებული დყვირისტიულად მორთული სტელეპის დაღვამა. ეს სტელეპი აუცილებლად



დაგვირვეინებული იყო ჯვრით. მათ, ჩეკელებრივად, დგამიღნენ ღია ადგილებზე ისე, როგორც პირვანდულ ადგილებზე შერჩენილი ბრდაძორის დიდი სტელა (V) — უწამო სტელა (ახლახან საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გადმოტანილი), ზედა თმოგვის სტელა VI ს-ია, აგარის სტელა VI ს-ის მეორე ნახევარი — VII ს-ის პირველი ნახევარისა, ხორის სტელა ზევში (VIII) — IX ს-ისა, უსანეოსის სტელა VIII ს-ის ბოლო ათეულისა, არეშის სტელა X ს-ის წარწერით. ეს სტელები აუცილებლად ორიენტირებულია ისე, რომ მათი მთავარი ფასადი, ე. ი. მათი დამაგვირვეინებული ჯვრების ფასადი, ყოვლთვის მიმართულია დასავლეთისაკენ.

ეძანი, დღევანდელი ბარმაქისიში, ძველი სოფელია თრიალეთში, — მისი სახელი შემოგვინახა ვა ხ ე შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ მ ა თავის „ალწერა სამეფოსა საქართველოს“-ში. VI ს-ის ეძანის ხორის სამეცნიერო ბაზილიკის აღმოსაფლეთის ფასადის საკურთხვლის სარგმლის ჭვეშ, სამშენებლო წარწერასთან ერთად, მოთავსებულია 60 სმ ხიმაღლის რელიეფი, „რომელიც სტელა-ჯვარს გამოსატავს — (1).

წარწერაში ნათევამია: «ეს ჯოვარი მე (!) (თოოგ) ენიდე

აღვამენებ (!) სალოცველად სოკლისა ჩიკენისა.

ვიც ამოიკითხოს ლოცვასა მყოს. პოე! ამენ».


ამ წარწერაში ნათევამია არა სტელა-ჯვრის აღმართვის, არამედ ჯვრის უკადესი ის აშენების შესახებ, ანალოგიურად მოხსენებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ავება ქართლის ცხოვრებაში.

ეძანის სტელა-ჯვრის რეალისტური გამოსახვა ცელებისა და წარწერასთან ერთად წარმოდგენას გვიქმნის იმ იდეაზე, რომელიც შემნებელ-კტიტორს პერნდა, ერთის მხრივ, ჯვრის ცელების აშენებაზე, მეორეს მხრივ, აქ გამოსახულია ის სტელა-ჯვარი, რომელიც აღმართავდნენ, როგორც ღმერთისადმი მიმართას, ვედრებას, რათა დაქაყაფილდეს სურვილები და მოთხოვნილებები. ეს სტელა-ჯვარი ყველასთვის გაავები დოკუმენტი იყო, რომელსაც საკუთარ მამულებში დგამდნენ.

ეძანის სტელა-ჯვრის ამ რელიეფს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მისი შედარება ამგვარი ძინებულების რეალურად არსებულ ფრაგმენტთან ცხადყოფს, რომ იგი კომპოზიციის ყველა ტექტონურ ნაწილს სანდოდ ასახავს.

IV ს-ის მეორე ნახევრიდან და ვიდრე VIII ს-ის დამდეგამდე, რამდენადაც წემთვის ცნობილია, სტელა-ჯვრების ქვეშ სამარხები არ არის. ჯვარი ამ ადრეწრია-ტრიანულ ხანაში წარმოადგენდა განსაკუთრებულ სიმბოლოს. მას ტრადიციით დგამდნენ არა ცელებისათან, არამედ ღია, ამაღლებელ, ადგილად დასანახ ადგილზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, მდინარეების და ხევების მახლობლად.

კახეთისა და ქართლის ადრექტისტიანული ცელებისიების ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრების დროს უშუალოდ ცელებისიებთან ამავე დროის ჩვეულება იყო სამარხები არაა ნაპოვნი. თუ ასეთი აღმოჩენილა — ესაა სამარხები ცელების გამოჩენილი მოღვაწეებისა, როგორიცაა მაგალითად, ითანე ზედაშენელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელისა ან მეტებისა; როგორც ქართლის ცხოვრება გვაუწყებს, ვახტანგ გორგასალი «დაეფლა მცხეთას საკათალიკოსოსა ცელებისა შინა».



სტელა-ჯვარი წარმოადგენდა სრულიად სხვა შინაარსის მქონე ობიექტს, ვინაიდან მისი დამაგვირვენებელი ჯვარი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სიმბოლო იყო.

მოქცევაში ქართლისამს შატიანე შოგიოთხრომს, რომ ქართლის განმინათლებელმა მესხმა ქალმა — გამადოკიელმა ნინომ, მეფე მირიანმა და წარჩინებულებმა აღმართება ჯვარი მთაწე, რომელმაც სწორედ ამის გამო ჯვრის სახელწოდება მიიღო. ქვის ბაზისზე ეს ხის ჯვარი აღმართეს IV საუკუნის მეორე მეოთხედში. იგი იდგა ლია ცის ქვეშ.

2. ქართლი

შინეტა.

ფოტო ვ. სავინიშვ.



და შორი მანძილიდან ჩანდა. ამ ჯვრის აღმართვის დღე «მცხეთის ჯვრის» სრულიად ქართულ სახალხო დღესასწაულად იქცა — იგი საზეიმოდ ტარდებოდა ამ ჯვრის წინ გაშლილ ღია მინდორზე.

მცხეთის ჯვრის აღმართვის ფაქტი მთელი ქართლის ათვის სამაგალითო გასდა. მატიანე გადმოგვცემს, რომ მირიანმა მაშინვე, უნდა ვიგულისხმოთ საზეიმოდ, თხოთის მთაზე და უკარმაში აღმართა ჯვრები გაშლილ, ადგილად დასანახავ ადგილებზე. ეს ჯვრები თავისი მნიშვნელობით მცხეთის ჯვრის ანალოგიური იყო. მემატიანე უთუოდ გულისხმობს, რომ ეს ჯვრები იმ მიწებზე იყო აღმართული, რომელიც მცირდებოდა (!) შედიოდა.

სტელა-ჯვრის შინაარსის საკითხზე მსჯელობისას არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ჯვარი აღმართეს მირიანმა და ნინომ ქართლის წარჩინებულებთან ერთად, უშაუალოდ მას შემდეგ, რაც ისინი ქართლის დედაქალაქ მცხეთაში, მდინარე მტკვარში მოინათლნენ. შაშინ მირიანთან ერთად მოინათლა მთელი მისი საგვარეულო (ქალების ჩათვლით) და, როგორც მატიანე მოვალეობის, აგრეთვე მცხეთის მცხვრებინიც.



ამგარად, მცხეთის ჯვრის აღმართვა არა მარტო პირადად მიწონისა და მისი მიზანისა და მისი მიზანისა გადაუსულოს ინტერესებს უპასუხებდა, არამედ საერთო ინტერესების გაშეფერება იყო.

მცხეთის ჯვრი წარმოადგენდა სიმბოლოს ქრისტიანობის მიღებისა და აღმართულისა, რაც საბოლოო გამოხატულებას ნათლისღებაში პპოვებდა. სტელა-ჯვრის შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვანია ის, რომ მცხეთის ჯვრი მატიანეში მოსხენებულია როგორც «ტელეფი შემსიღი ჯვარი», რაც ედავოდ, კერძოდ, წარმართობაზე გამარჯვებას გულისხმობს.

იმ ფაქტს, რომ ჯვრისა ან სტელა-ჯვრის აღმართვა დაკავშირებული იყო ქრისტიანობას მიღებასთან, რომელიც ნათლისღების აქტში ელინდებოდა, ამტკიცებს ცნობები მილოცველებისა, რომელიც წმინდა ადგილებში მოგზაურობდნენ ქრისტიანობის მიღების პირველ საუკუნეებში. უნდა ვითქმიოთ, მათ შორის იყვნენ ქართველი მღლიცველებიც და მათაც ნახეს მდინარე იორდანეში ქრისტეს ნათლისღების ადგილას აღმართული ჯვრი!

ქართლი, რომელმაც ქრისტიანობა IV საუკუნის შეორე მეოთხედში მიიღო, ბუნებრივია იმთავითვე ახლო აღმოხავლეთის ქვეყნებს აღევნებდა თვალყურს და ბევრ რასმე ითვისებდა იმ ქვეყნებიდან.

ნუშიშმატკიცური მასალა ადასტურებს, რომ ვოტივური სტელა-ჯვარი წარმოადგენდა ქრისტიანობის გამარჯვების სიმბოლოს, რომელიც ნათლისღების აქტით მიტკიცდებოდა და იდგმებოდა თავის მამელში, — ამავე დროს სტელა-ჯვარი ერთს გამართიანებული გაბატონებული იდეოლოგიის მეცენტო გამოშატველი იყო.

VI საუკუნისათვის დადგენილი ტრადიციით ქართლში მოჭრილ მონეტებზე ჩვეულებრივად გამოხატულია ფართოდ ცნობილი და კარგად ათვისებული ობიექტები.

სწორედ VI ს-ის შეორე ნახევრის მონეტებზე, კერძოდ VI ს-ის ბოლო მეოთხედის, ჯვრის ერთ-ერთი შენებელი ერისმთავარი-პატრიკიოზ სტეფანოზ I მონეტაზე და VII ს-ის პირველი ნახევრის, კერძოდ წრომის მაშენებელი ერისმთავი-კაპატის სტეფანოზ II მონეტებზე არის ჯვრით დაგვირვენებული პოსტამენტის გამოხაზულება² — (2).

ამ მონეტებზე ედავოდ გამოხატულია არა საფლავის სტელა, არამედ ქართული ადრენერისტიანული სეტელა-ჯვარი. ამ შემთხვევაში მონეტებზე სტელა-ჯვარი გარკვეულად გამოხასხულია, როგორც (ჟალებრივი) დოკუმენტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატეს დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკაში და ქვეყნის შინააურ ცხოველებაში, დაშორებას სპარსეთიდან და ბიზანტიისათან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

დ. კაპანაძე აღნიშნავს, რომ VI ს-ის პირველი ორი მესამედის მონეტებზე რევერსზე გამოხაზულია „ცეცხლთაყვანისმცემელ“ სასანიანთა ემბლემა: საკურთხეველზე ცეცხლით ათაშდანი, რომელსაც შეიარაღებული მცველები გუშაგობენ“, ავერსზე კი— „სასანიანთა მეფის ბიუსტი“.

დ. კაპანაძე მტკიცებდ მიიჩნევს, რომ VI ს-ის შეორე ნახევრში „ქართულ მონეტებზე ქრისტიანული რელიგიური სიმბოლოს გამოჩენა, რომელიც დაპირის კი— ებულია სასანიანთა ეროვნულ ემბლემა — ათაშდანთან, წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტს.“

ქართლის ეროვნული თვითშევნების გაძლიერება კიდევ უფრო მეტად გამოშეკარა-

ვდა, როცა ქრისტიანული სიმბოლო ჯვარი გაჩნდა მოწერის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან აღილას — რეკრისუ: სასანელ ცეცხლთა ყვანის მცემულთა საღვთო აღი (პატი-დანი) შეცვლილია ჯვრით“, ე. ი. შეცვლილია ქართული ეროვნული ემბლემის ტიპი-ლა-ჯვრით.

რასაკვირველია, სტეფანოზ I და სტეფანოზ II ცეცხლთა ყვანის მცემულთა ემბლემას არ დაუპირისილო მემორიალურ, სამარხის სტელა-ჯვარს. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ ქრისტიანული თავისი ეროვნული სიმბოლო სტელა-ჯვარი დაუპირისპირებს.

თუ რეალურად არსებული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, სტელა-ჯვარი V ს-ის ბოლო მეოთხედში მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის ყოფა-ცხოვერებაში, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ვოტიკვერი სტელა-ჯვარი ქართლში ცნობილი იყო უფრო ადრე, ჟესაძლოა, უკვე IV ს-ის მეორე ნახევარში.

სტელა-ჯვარი ესაა ქრისტიანობის აშეარად აღიარების, ე. ი. სახელმწიფოში წამყვანი იღეოლოგიურ-პლოიტიკური მიმართულების აღიარების დამადასტურებელი. სტელა-ჯვრები იმ დროის მოწინავე საზოგადოებრივი ფენის ხაციალურ, პროგრესულ, გულტერულსა და პროლიტიკურ შეხედულებებს ასახავს. რა თქმა უნდა, ხელისან-მოქანდაკები და წარწერის შემდგენელი კუელა შესაძლებელ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ეს შეხედულებები აეხახათ.

VII-VIII ს-ის პირველი ნახევრის წარჩინებული გვარის წარმომადგენელ მარცველს სტელას — ნათლისმცემლის მონასტრიდან დავით გარეჯაში — აქვს წარწერა: «ეს ჯოვარი მე (!), მარცვოვ აქმართე (!) სალოცველად ჩემდა (!) და ცოლისა (!) და შვილთაოვის (!)».

როგორ აესწაათ ამ წარწერის შინაარსი? მარცველ ღმერთის წინაშე იღებს ვალდებულებას და ამავე დროს გულწრფელი ვედრებით შესთხოვს თავისთვის, ვაჟიშვილი-მემკვიდრეებათვის და ოჯახისათვის შეწევნასა და მეოქმედას.

ცნობილია, რომ ერთი ერთინების ხალხის ურთიერთობათა ერთობლიობა მისი განვითარების გარეველ საფეხურზე. აგრეთვე აზრის ლოგიკურ წყობათა და ფორმის ერთობლიობაშიც მეღანენდება. ამ დროს, ცხადია, რომ აზრის გამოთქმის საშუალება-ნიც ეროვნულ მოვლენას წარმოადგენს. ამიტომ ქართველისათვის, კერძოდ VI და VII ს-ში, ნათელი იყო მიმართება და გასაგები იყო კარინი, რომელიც სტელა-ჯვარსა და მის დამდგმელ პიროვნებას შორის არსებობდა, — ე. ი. მისთვის გასაგები იყო მიზანი და აზრთა წყობა, რომელსაც გამოხატავდა მხატვრული ფორმა დამატებითად შემაგრებული წარწერით და მასში მოხსნებული სახელებით.

სტელა-ჯვარის დაყენების აქტი ღმერთისადმი მიმართული ღრმა რეალიგიური გრძნობით გამსჭვალული ვედრება, რათა მიღწეული იქნას სერვილების ასრულება, და, აშასთანავე, ოჯახის წევრების მიერ რელიგიური წეს-ჩვეულების ასრულების დამოწმებაცაა.

წარჩინებული გვარის წარმომადგენლის კონსტანტინეს მიერ წყისას 616-619 წწ. აღმართული სტელის ბაზისის წარწერაში ვეითხელობთ: «ეს ჯვარი მე (!), კოსტანტი, ქემან სტეფანისმან და გუდასმან, აღმერართე (!) სახელსა მცენერით ისა ა ჯუარი ისა, ნასყიდება (!) ქუეყანასა ზედა შეკრამანსა, სალოცველად ჩენდა (!) და ცოლისა (!) და შეიღოთა (!), ნოემბერსა აზ. ამენ».

ამ წარწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კონსტანტინე საგანგებოდ აღ-

ნიშნავს, რომ თავის სტელა-ჯვარს ის შაპრამანის მამულში დგამს, ე. ი. სტელა-ჯვარი წარმოადგენს საკუთრებაზე უკლების დოკუმენტს (შეად. კელი). წარწერა დამრღველია, — რელიგიურ ხასიათს ატარებს, ე. ი. კონსტანტინეს ეს სტელა-ჯვრი, საკუთრებულია სხვ მსგავს სტელა-ჯვრები, უცნეციურად მცხოვის ჯვრის ანალოგებით, კონსტანტინემ თავისი იჯაბითურთ ქრისტიანობა მიიღო, მოინათლა და ახლა სახელმწიფოს მთავარ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მიმართულებას მხარს უჭრს და უწყობს ხელს.


ამრიგად, წარწერიანი სტელა-ჯვრის დადგმა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ოჯახისა-თვის წყალობის გამოთხოვის აქტს, მეორე მხრივ, კონსტანტინეს ეს ჯვარი სამანადოდ, საზეიმოდ, კულა წესების შესრულებით და მოხელეების დასწრებით დადგა, როგორც იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მას აქვს უფლება საკუთრებაზე და მის მემკვიდრეობით გადაცემაზე, და როგორც ხიბბოლო მის მიერ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის უძვოდ გატარებისა.

წარჩინებული გვარის ერმიას VI ს-ის შეაწების პანტიანის სტელის ბაზისს აქვს წარწერა «შეწევნითა (Sic) ღმრთისმინისათა მე(!) ერმია და ფაქლავრის ქავე ჯოვარი აღვმართეთ (!) სალოცველად სოცლთა ჩვენთა და ცეკვრებისათვის (!) შეიღოთა ჩვენთა. აშკარაა, რომ მემორიალურ, საფლავის ძეგლზე არასდროს იქნებოდა ნათევამი: «მე შეწევნითა აღვმართე ქავე ჯოვარი ცხოვრებისათვის შეიღოთა ჩემთა». ცნებას «სულთა ჩვენთა» თავისებურ იერს აძლევს წარწერის სარწმუნოებრივი ხასიათი, რომელიც ნაწილობრივ აისხნება ითანა სახარისის სიტყვებით: „მე ვარ ნათელი, მე ვარ აღდგომა, მე ვარ ცხოვრება, რომელსა რწმენეს, ჩემი მო-ლათუ-კიდეს ცხოვნესვე“ ეს ხიტუცები არის წრომის VII ს-ის მეორე მეოთხედის მოშაიკერ წარწერაში. ამიტომ აზრი სიტყვებისა «სულთა ჩვენთა» ძეგრად ფართო და რთულია: საჭიროა გვესმოდეს, რომ ერმია და მისი მეუღლე ფაქლავრის თავის მამულში სტელა-ჯვრის დადგმის აქტით არა მარტო თავიანთი ვაკიშვილი-მემკვიდრისა და სხვა შეიღების წარმატებას ვევდრებიან ღმერთს, არამედ როგორც შეიღების სიცოცხლის საწინდარის — თავიანთ სიცოცხლესა და სრულ კეთილდღეობას.

VI ს-ის ბოლო ათეული წლების წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ჯვრის ბაზის უცხეთის ჯვარისა ტაძარში, ნათევამია: «(ეს ჯვარი მცხოვისა შევამევეოთ სალოცვილ) ად სტეფანოს პატრიკიონისა, დემეტრე კვატრისისა, ადრენეს კვატრისისა, სოკლ თა და კორც თა (!) მათთა მეოთხად და და კოკლისა სახლისა მცხოვისა, რომ თეოთონ და მთელმა საგვარეულომ მიიღოთ ღმერთის შეუარველობა. როგორც ცხადყოფს ეს, და ამ ადრეულ დროის სტელებისა და ბაზისების სხვა წარწერები. ყველგან ლაპარაკია იმედად ცოცხალი და ენერგიული პიროვნებების სახელით, გარდა ამისა, ჩვენ ვხდებავთ, რომ ეს იძინებრი ვეუთვონდა სახელმიწფოს ყველაზე წარჩინებულ წარმომადგენლებს საგვარეულოში.

ნ. კონდაკო აკო აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში IV ს-დან, V და VI ს-ბში ველესის ამოცანები ძალიან რთული და ფართო იყო, — ამიტომ იზრდება უმაღლესი წოდების წარმომადგენლების — ქალებისა და კაცების — მოღვაწეობა, მათ ეჭირათ ქრისტიანობის დროშა, ქრისტიანობაში კი ისინი პროტესტულ და კულტურულ ძალას ხედავდნენ.

ბეჩერაშენში აღმოჩენილ ბაზისზე არის წარწერის, როგორც ვტყობა, ფრაგმენტი, რომელიც თ. კავხიში შეიღია ბერძნულიდან თარგმნა «სალოცველად



3. ლამაზი კორა. ფერი № 588.
ფოტო 6. და ქ. ჩიტინაშვილებისა

სიმეონისა და ივლიანოსისა კონკრეტურა მათთა სახლით ურთიერთობის შეცვლის თვეზე და რეასები³. გვირქობ, რომ აქ აკლია წარმოშობის დამტკიცისა: „უკავე ჯვარი აემართოთ...“⁴. სიტყვები: «...ყოვლისა მათთა სახლით ურთიერთობა, და მით უკრონ და უფალო შეეწიე თეოდორეს» გარკვეულად მეტყველებს, რომ ეს არაა შემორჩენული ან საფლავის სტელა-ჯვარი. სტელის წარწერის საკრითო ხასიათი რელიგიური ძორმაშია მოყვანული, ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი წარწერებისა.

კულა ამგვარი წარწერა გამოხატავს აზროვნების, ქცევისა და, რასაცირკელია. მეტყველების მანერას, როგორც დამკვეთისა, ისე, კერძოდ, წარწერების შემდგენელთა და ხელოსან-მოქანდაკებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ აღრენისტიანულ ქართლში იმდროს, როცა იმართვებდა ქრისტიანობა და მისი აღიარება ძირითადი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მიმართულების აღიარებას ნიშანავდა.

1959 წ. არქეოლოგმა ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა ბოლნისთან ახლოს ლამაზი გორის კომპლექსი გათხარა. პატარა დარბაზულ კელებიაში მან აღმოჩენა, კერძოდ, დეკორა-ტიული ჯვრების ფრაგმენტები, რომელიც სტელებს აგვირგვინებდნენ, და დაათარიღდა დროის ფართო ქრისტიანულობრივ რარჩეობის: V ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან და VIII ს-ის პირველი ნახევრამდე⁴. ამ მასალის ნაწილი, სწორედ ის მიღებული, რომელიც ხაც გაეცემოდა, ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა გადასცა საქართველოს მუზეუმში, ჯვრები რე-გივსტრინერულია № 588, 582, 590 და 591; ბაზა კი, რომელიც ჯვრი იღება, № 592.

ამ გათხრებში არ არის აღმოჩენილი ბაზისები და ამ კურების სტრუქტური, ისევ, როგორც ბრალისის სიონის გათხრების დროს.

კვარი № 588, ზომებით 43×75 სმ, აღმოჩენილებიდან ყველაზე დიდია — (3.) უძირველეს ყოვლისა სხვა კვრებთან შედარებით რომელციც ჩემთვის ცნობილია, იგი გამოიჩინება იმით, რომ არ არია აყვავებული, ისე როგორც კვარი № 590 ან V-VI ს-ის ტარტონის ბაზასის კვრი. აյ, აყვავებული ფილტრისა დაგიღწევა, ხელისანძა-სკელპტორჩა მოგვეცა სასანური ღუნტების მსგავსება. კვრები, რომელციც სასანური ღუნტებით არია მორთული გვაქვავ ვ ს-ის მეორე ნახევრის — VI ს-ის პირველი ნახევრის გილდაბაგის და აკვანტის VI ს-ის შეა წლების არქიტრავებზე, კვრინჩიანის ბაზისზე, VI ს-ის დემირბულალის სტელაზე და ამათ მაგვარ აღრეული დროის სხვადასხვაობისთვის.

ადრესის სტანციული დროის მოწოდებული, იყვნებდნენ, რა უკხოურ სისტოლებს, ქარძოდ, სასანურს, განსაკუთრებული მიზნებისათვის, უნდოდათ ამით წარმართებისაგან დაემალათ აზრის ნამდვილი მნიშვნელობა, ნათლად ჩამოყალიბებული იდეა, გასაგები აზრი, მტკიცე რწმენა. ამასთანაც იაწრაფულდნენ, როგორც ამ შემთხვევაში თავისებურ სასანურ ლენტაზან დაკავშირებით (მეფობის ნიშანი), მნელ იპტორის სი-ტუაციაში ჩეცელებრივი სიმბოლური ნიშანი ამორჩიათ, — ე. ი. ჰიმბოლონი დი-პლომატურად დაეფურათ თავისი საიდუმლოება და თავიდან ავტოლებინათ არასასურ-ელი შეტაქება, — სტელის აღმართვით მისდევდნენ რელიგიურ მიზანს, ამასთან გან-საკუთრებულ მიზანსაც, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოებაში მოღვაწეობას-თან.

სახანური ირანი ეწევა აქტიურ ბრძოლას ბიზანტიასთან სამფლობელოებისათვის და VI ს-თვის შათი გავლენის სფეროები ასეთია: ბიზანტია ინარჩუნებს დასავლეთ საქართველოსთან კულტურულ და პოლიტიკურ კავშირს და ირანი, შედარტით ცოტა ხანს განვილობრივ გავლენას პირდაპირ მოვალეობაშე, რომელიც შემდგრინდებისდაცვა-

4. ლამაზი გორა.
ფვარი № 589.
ფოტო
6. და ქ. ჩუბინაშვილებისა



VI ს-ის მეორე მეოთხედის დაასუსტიში ქართლში შეკუდა მეფობა, მხრისძილ-დაბატუნი ლორებით VI ს-ის მესამე მეოთხედის შეიდან მეფეები ერისმთავრებმა შეცვალეს. სწორედ ამ დროისათვის იმდენად განიტკიციდა ქართლის შინაური საქმეები, რომ შეეძლო პარეგლ ერისმთავრიად გუარამ დიდი აერჩიათ, რომელიც შევყინას 586 წლამდე ძართავდა. ქართლის მოქეცევა გვატყიდინებს «ვითარება შეფორმა დაესრულა, ქართლს შინა სპარსი განძლიერდეს... და ნელადრიტ შეერბა ქართლი და ერისთავად განაჩინება გუარამ დადო, ის იყო პირეცელი ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო». საყურადღებო ცნობის მოლო და მერმე კურაპალატადცა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერისმთავარმა გუარამმა დაამყარა შეკრი საქმიანი, პოლიტიკური და კულტურული კარიერი ბიზანტიის იმპერატორებთან, რომლებმაც ჩას კურაპალატის წოდება უძინეს, და საბოლოოდ გაწყვეტა კავშირი ირანთან. ე. ი. მოზღვა გარდუები გარდატეხა ქვეყნის შინაურ ცოცვებაში, რომელიც, კურმოღ, გამომეუღლავნდა დიდი ხნით ადრე მომწიფებული სასანური კალტერის და ხელოვნების ელემენტების უარყოფაში. მაგრამ ისინი გვევდება შეუცნობელ შემოქმედებით გადამუშავებაში, შესაძლებელია კიდევ VII ს-ის შიონიცბაში და ჩვენ აქ არაფრის არ ვიტყვით მის გადამოწმაშემცხველი.

გუარამის შიერ შეირტ ჯვრის კლების აშენება VI ს-ის შექამე და მოითხე შეოთხედის გარდატების დროს და გუარამის შევალების — სტეფანოზ I, დემეტრესა და ადრენერსეს შიერ ჯვრის ტაძრის აშენება VI ს-ის უკანასკნელ ათწლეულში ნათელი მაგალითებია მიინა, რომ მათ დეკორიზი არ არის არავითარი სასანური სიმბოლური ნიშნები. აქვთ გავითხსენოთ ზემოთ დასახელებული ანალოგიური წუმიშმატეული ფაქტები

ამრიგადა, ჩვენ 588 ჯვრისათვის შეკვეთლით დავადგონთ ღროის ერთი საზღვარი — ეს არის VI ს-ის შეირჩე მესამედის ბოლო, ხოლო ღროის პირველ საზღვარად შეიძლება დავასახელოთ ვახტანგ გორგასალის მეფობა, ე. ი. V ს-ის შეირჩე ნანგარი, როდესაც სასანური ელემენტები ჯვრ კიდევ არ არის ასე საფუძვლიანად და შეკვეთისად გადამზადებულია, ისე როგორც VI ს-ში.

ლაპაზი გორის დანარჩენი ჯვრების გარკვეული თარიღის დადგრნისათვის ხელს გვიშლის, ისტორიული წყაროებისა და კარგად დათარიღებულ არქიტექტურულ ძეგლებზე ანალიგიური დექორის უქონლობა, როგორიც არის ჯვრებზე. ის, რომ მათ არ გააჩნიათ სასანური სიმბოლური ელემენტების გადამუშავებული ნიშნები, არ ნიშნავს, რომ ისინი შესრულებული არიან აუცილებლად VI ს-ის მეორე ნახევრის შემდეგ, ვინაიდნ ქართლის VI ს-ის პირველი ნახევრის ზოგიერთი არქიტექტურული ძეგლების დყვირში არ არსებობს არავითარი გადაასრულებული და გადამუშავებული სასანური ელემენტები. VI ს-ის პირველი ნახევარი ის დროა, როდესაც მშადდება ნიადაგი ახეთი ელემენტების მოპოვისათვის, ამიტომ მათ არ იყენებენ, მაგრამ ამასთანავე კუფებით მათ ნაწილობრივ გამოყენებას ამ დროის ზოგიერთ არქიტექტურულ ძეგლებსა და ჯვრებზე.

ჯერების 589. ზომით 52×63 მმ — (4.) და 590 — (5.) დეკორში არის როგორც მსაგვესძა, ისე განსხვავება. ამ ჯერების მეღლავებშე სტრუქტურის მიხედვით გამოყენებულია პრინციპში ერთნაირი კვავილები — „შროშნი“, შესახედავად მსგავსი, მაგრამ დატაცუების დამტკავებაში არ იმეორებენ ერთმანეთს.

ცნობილია, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა შეიცავდეს ახალ ელექტრონის საშუალების მიზნით. ახალში უნდა გვიყვალოს სმინთ ახალი ამინისტრის გადაწყვეტა, ასევე ახალი გადაწყვეტა მიზნით.

ԽԱՅՐԻ մշակումը ամրպանեթուա, դա աց-
րետայ բնոծուալու ամրպանեթու գալա-
ՇԽԱՅՐԻ վայ կամինապաւա, ռամիլուու աշալ
Մահամա ուլլայա, ոմուղեթեթու քրտմա-
նետուան Մշակումը ան-
ցարուու Մնա գայ Վիուա Խելուան-
ՏԿԱԿԱԿՈՒՐՆՈՒ ծննդիրու և Սարցուա
քրտմանու Շոնարհու Մշեսրուղին
դրու, ամ Մշմտեցամո, որնամենդու
Հայ մին գամինալուց բարու ուլու ոյու
ՇԵՐԱԼԵՑԵՑ օր, գամսակուրութու մամին,
հոգուաց նամշեցարու Այսուցնու քր-
տու դա ոգուզ Խելուանս ան Տախուա-
նու. Խելուանց արքյան ան Հայու
Մերտաւ, հասակուրցուա, ար Տարտ
Մշենոյ յարաւ գամեուրեա, մատ, հո-
գուր ոմուղեթեն գամինց մեն, մադ-
մու Մշմուղմեց ենտաւ դա մոցույրե-
նուաւ Մշայ տ մըուր միատրուրո
դա կոմիուսուրու պալուղին եր-
տուան ըլլայ մենք ենք են.

Խելուան-ՏԿԱԿԱԿՈՒՐՆՈՒթուատցու դա
գամսակուրութու դամյացուատցու մո-
ւլլայ ուլու ոյու Տարտ մամլոն.
Մահամա դամյացու տեռուլոնձա
միցաց մամ, մացրամ, հասակուրցուա,
ար Մշակ շոմուու. դամյացու դա
Խելուանս քրտու միշանու մէոնդա —
մատցու գայցու. դամյացուատցու
մտացան ոյու մոյզու Սիոնից գամ-
հեն յալու Շոնարհու միատրուր մէ-
նոյ յու յորմենի. ոց ոտուլոնձա
լաման նամշեցարս, մոտտուր մո-
ւուր լաման Մշեսրուղին. ամուրու,
կյուրմու, աեցու ոմուղեթեն քրտմա-
նետու մուանուր ան դա միցայ-
նո արուան, մացրամ ամաց դրու
նունց մու, յարուապու Քարուլմանք-
նո, յարուապու ՇԵՐԱԼԵՑԵՑ.

Սիոնից ծոլոնին սկսուղին դա
Քյուրին ամ գամսակուրութու ան
Մահամա նյամ մուսպա ց. ն. Բ ո ն ա-
մ ց ո լ ս ճայ յ ա ր ա կ ո ւ ն ի ո ւ ր ա , հոմ „մատու յոր-



Տ. լուսանու յորմա.

յանու № 590

և բյուն ծանս № 592.

յուրու ն. լա յ. հունամ-
քունց մու.

მეტის და მორთულობის ნაირსახეობაში ჩვენ გვაქვს საკმაო ნიშნები, რომლებიც
ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ს ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ა დ ამ მაგალითებს ერთმანეთთან, ე. ი. მიზნი ჩატარებული
კრელი ფისტები გვეუძნებიან ამ ჯგუფის ერთიან ქრისტიანულობის ჩატარებული
მელიც უ ძ ვ ე ლ ე ს დ რ ო ზ ე მ ი გ ვ ი თ ი თ ე ბ ს, პირობითად შეიძლება V-VI და
VII საკუნძულოთ აღვინშნოთ", — V ს-ში იგულისხმება მისი მეორე ნახევარი, ხოლო
VII ს-ში — მისი პირველი ნახევარი.

590 ჯერის ქვედა ნაწილის მარცხნივ და მარჯვნივ გადის ფოთლები, ე. ი.. აყვავე-
ბულა. ისინი პირდაპირ მსგავსებას პოულობენ ტარსონის ბაზისის ჯვრის ფოთლებთან
რომელიც თარიღდება V ს-ის მეორე ნახევრით და VI ს-ით და ბოლნისის «მეორე
ჯვრის» ფოთლებთან, ხოლო მასშე დაფუძნებული „ენის ზოლი“ პირდაპირ მსგავსე-
ბას პოულობს ტირსონის ბაზისის ჯვრის დეკორაცია.

მსგავსებული, უზთი მხრით, 589 ჯერის და 590 და ბოლნისის ჯვრის „შროშანების“
და, მეორე მხრით, 590 ჯვრის დეკორის მსგავსებას ბოლნისის ჯვრებთან და ტარსონის
ბაზისთან მიკეცვართ, ამ ჯვრების VI ს-ის (უფრო მისი მეორე ნახევრით) და VII
ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებასთან.

591 ჯვარი — (6.), ძირითადად ანალოგიებს პოულობს ბოლნისის ჯვრებთან.
იგი დეკორირებულია უბრალოდ ყოველგვარი გამომსახულობითი ელემენტების გარე-
შე. სატათოდ ეს ესიტლება დათარიღდება 598 და 590 ჯვრების თარიღის მიხედვით.

589, 590 და 591 ჯვრების ფოტოებისფიფებშე მოცემულია ნაწილობრივი რეკონს-
ტრებებია მთელი ობიექტის ტექტონიკური ნაწილების ურთიერთკავშირის თანაბრად
ეძანის სტელა-ჯვრის რელიეფისა: ბაზა № 592 და ლამაზი გორის ჯვრები. სტელის
ფრაგმენტი, რაზეც ისინი დგანან, სხვა ადგილიდანაა.

ლამაზი გორის ჯვრები 588-591, ისე როგორც ბოლნისის ჯვრები, ყურადღებას
იპყრობს შესრულების საერთო დეკორატიული მიდგომით, მეაცრი კომპოზიციური გა-
ნაზრაპით, სიმეტრიული გამოსახულებით, აღმისათვის გაწონასწორებული და განი-
ზომიერი აგებით, თავისუფალი და ჰარმონიული და დეკორატიულ-სიბრტყობრივ- ხაზობ-
რივი გაფორმებით.

კომპოზიციის ყოველი ელემენტი ბოლომდევა დამუშავებული, შაგრამ ამით იგი
არ არის აღსურველი დამოუკიდებული და თვეთმყობად ცხოვრებით, — პირიქით, იგი
მთლიანზე დამოკიდებული, და მხოლოდ კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს. ფონი
დეკორისათვის და ორნამენტისათვის წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს.

ბაზისების, სტელებისა და ჯვრების დეკორის შესრულებაში, ისევე როგორც V
ს-ის უკანასკნელი მეოთხედის — VII ს-ის შეა წლებამდე ფიგურული რელიეფების
შესრულებაში სტელებზე, ჯვრებზე და არქიტექტურაში, არხებობს ორი ერთმანეთისაგან
მეცენარად განსხვავებული მიღებომა.

პირველი — ქართლში ძეველთაგან მომდინარე სიბრტყობრივ-ხაზობრივი შესრუ-
ლების ხასიათი, რომლის დროსაც რელიეფი არსებითად წარმოადგენს ნაბატს, რომე-
ლიც შესრულებულია ხისტი კონტურით და ხაზებით. ის გამოირჩევა შესწრდილის
მკვეთრი გარდატებით ქაშვაშა შეკიდან ღრმა ჩრდილებამდე.

მეორე წარმოადგენს უცხოერი აღრეტერისტიკუნული ხელოვნების გამომახილას — ეს
შედარებით სკელპტურული გამოსახულების გამომუშავებაა, რომელიც შეეთავსება ძევ-
ლთაგანვე ქართლში გამომუშავებულ დეკორატიულ-სიბრტყობრივ-ხაზობრივი ხასია-
თის შელოვნებას. შედარებითი სკელპტურულობა იძლევა პლასტიკურად მოდელირე-



6. ლაშეზი კორი.
ფური № 591.
ფური ნ. და ქ. ჩერხინაშ-
ვალებისა

შეს ფორმებს, ისინი მედავნდებიან არა შეკვეთი, არამედ რჩილი გადასვლით მიღი
გაშექტებულიდან ნახევრად წრდილზე.

ლამაზი გორის ხელოსანი-სკულპტორები დყორნის და ორნამენტულ მოცულისამ
ფორმებს ავლენენ ძირითადად უმნიშვნელო ჩაღრმავებით, ფორნის ამორტორი იმ ფურ-
შის ირგვლივ, რომელიც ხელოსანს სურს მოცულობით გამოყეოს. ე. ი. დეკორის და
ორნამენტის მოცულობა ჭარბიის მნება შილოოდ იშიტომ, რომ ფონი დაბაბლულია
კონტურის ირგვლივ. ივი ამით აღწევს გამოცახული კულების ტების მოცულობით
შთაბეჭდილებას, მაგრამ არ სცილდება სიბრტყობრივ-დეკორატიულ-ხაზობრივი შეს-
რელების საკლებრების.

უნდა აღინიშნოს, რომ ლამაზი გორის ჯვრების საერთო ფორმის გამომექავებისა-
თვის, ისე როგორც მისი დეკორის და ორნამენტებისას, ხელოსან-სკულპტორს დაუფ-
ლებული აქვს კარგი მხატვრული ხერხები და ჩვევები და სრულყოფილად ფლობს
ხელობას.

შეიძლება დაიხვას კითხვა: როდის დაზიანდნენ სტელა-ჯვრები? მხედველობაში:
მისაღები რასაკეირველია, მათი და ა ზ ი ა ნ ე ბ ი ს მ ი ჟ ე ჟ ე ბ ი. ეს მომავალი კვლე-
ვის საგანია, მაგრამ შეიძლება ასეთი ფაქტების აღნიშვნა:

1. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა 1936-1937 წლებში ბოლნისის ტერიტორია არ-
ქეოლოგიურად გათხარა. სწორედ მან პირველად აღმოაჩინა ჯვრის ფრაგმენტები,
რომლებისაც ადგილმდებარების მიხედვით ბოლნურები ეწოდა. სტელები ჯვრების მოვა-
ნის სტელები ჯვრებთან ერთად იქ არ აღმოუჩინა, სადაც ისინი თავდაპირველად იდგ-
ნენ. ყველა ქა ფრაგმენტი სხვადასხვა შემთხვევით აღიღილზე იყო.

2. გ დ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა 1959 წლს არქეოლოგიურად გათხარა ლამაზი გორის
შონასტრის კომპლექსი. ჩან აღმოაჩინა ჯვრების ფრაგმენტების ჯვეფი, ისინიც აგრეს-
ტუ ეყარა მათთვის შეუცეუბელ. შემთხვევით აღიღილზე, ძირითადად დარბაზელ ე-
ლესიაში.

ვ. ჯ ა ფ ა რ ი ქ ე მ 1964 წლს დამბლუტის-ჭყლის ხეობაში არქეოლოგიურად
გათხარა ძველი დარბაზელი ეკლესია, სადაც აღმოაჩინა სტელების და ჯვრების ფრაგ-
მენტები, რომლებიც უწესრიგოდ, წაქცეველად ეყარა აბსიდი და მის ახლო-მახლო
შემთხვევით აღიღილზე.

მ. ს ი ნ ა უ რ ი ქ ე მ 1964 წლს კაზრებიდან 2 ქმ დამტრებით არქეოლოგიუ-
რად გაასუფთავა დარბაზელი ეკლესის ნანგრევები და აღმოაჩინა სხვადასხვა ფრაგ-
მენტები, მათ შორის სტელებისა, მათთვის გაუთვალისწინებულ აღგი-
ლებზე.

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ნაპოვნი ფრაგმენტებიდან შეუძლებელია
სტელა-ჯვრის მთლიანი სახის აღდგენა იმ შეთოდით, რომელსაც ეწოდება „რკონსტ-
რუებია ანალოგიების მიხედვით“ და ემანის ხიონის სტელა-ჯვრის ნიმუშის გამოყენებით.
ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში ჩეკვ გვაქვს მთლიანი ობიექტის დაცალკვებუ-
ლი ნაწილები და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ნაპოვნი არიან სხვა-
დასხვა, არა მათთვის განკუთენილ აღგიღილზე. ეს გვაფიქრებინებს, რომ ყველა ქა
ფრაგმენტი ჩამოტანილია სხვადასხვა აღგიღილდან, შესაძლებელია «შეიშიანობის დროს»,
როგორც ძეირულასი საგარეულო სიმბოლო-დოკუმენტი.

2. აკაურთას ეკლესის (V-VI საკუნების საზღვარზე) მ შ ე ნ ე ბ ლ ი ბ ი
დ რ ი ს სამხრეთ კარის ჭირთხლებში გამოყენებულია V ს-ის ორი სტელა.



ქვემო ბოლნისის (VI ს-ის შეა წლები) ინტერიერში, დასავლეთ ფრესკაზე ში, მშენებლის დროის ჩანახულია სტელის ფრაგმენტი V ს-ის შემონაბრუნვაზე ხევრისა — VI ს-ის პირველი ნახევრისა.

ღმანისის სიონის (VII საუკუნის პირველი ნახევარი) ინტერიერში საკურთხევლის ქედელში მშენებლის დროის დროის დატანებული არის VI ს-ის სტელის ზედა ნაწილის ფრაგმენტი, შემცელი ფიგურების რელიეფით.

ამ საგვარეულო და შთამომავლობითი სიმბოლოების — სტელა-ჯვრების, რომელთა დაღმა წარმოადგენს პრესტიტის და გაელენის განმტკიცებას საზოგადოებაში როგორც ეტყობა, განზრახ დაზიანების შემდეგ მათი ფრაგმენტი გამოიყენეს საგვარეულო მამულებში აშენებული კლემინტის შექმნებლობის დროს. როგორც ჩანს, ამით სურდათ აღნიშნათ მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

აქ მოყვანილია ყველაზე დამახასიათებელი მაგალითი, ამისთან მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება (შურტაკეთი, თრიალეთი, ჯავახთი, სამცხე).

3. რამდენიმე სტელა-ჯვარშა მოაღწია ჩევნამდე თავის თავდაპირეულ დადგმის: აღდილებულ:

ბრდამორის დიდი სტელა (V) — VI ს-ისა, — გადმოტანილია საქართველოს ხელოვნების მეზეუმში;

ზედა მოგვის სტელა VI ს-ისა;

აგარის სტელა VI ს-ის შეორე ნახევარი — VII ს-ის პირველი ნახევრისა;

უსანეთის სტელა VIII საუკუნის უკანასკნელი ათწლეულისა, — გადმოტანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში;

ხევის სიონის სტელა VIII-IX საუკუნეებისა.

ყველა ამ სტელას აქლია მთლიანი ანსამბლის რამე ნაწილი.

აღნიშნული ფაქტები და მათი გამუდმებული შექსება გვაძლევს შასალას დაკვირვებისათვის და ფიქრისათვის, მაგრამ ჯერჯერობით არა დასუსტებისათვის.

1. ა. სტრიგოვსკი. I. Strzygowski, Iconographie der Taufe Christi, München, ტაბ III, 1-6 და 9.

2. დ. კარინაძე, ქართული წერილი წესითვი, მოსკოვი, 1955, ტაბ. 111-17 და 38.

3. პათმოვარი, საქართველოს მონეტები, თბილისი, 1970, ტაბ. I — 15, 16, 17 და 18, ტაბ. II — 19, 20, 21 და 22.

3. კ. გარებოს ტელოვარი ხელოვნებისა და დამწერლობის აქლად აღმოჩენილი უკველესი ძეგლები ქვემოთ ქართლიდან, ძეგლის მეცნიერი, № 20, გვ. 57 და ტაბულები. — იქვ. გვ. 57, შენ. 1 — მითითებულია პროფ. თ. ყავუჩიშვილის მიღმა.

4. ა. გრეკელიშვილი განხეთა „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 211 (6713), 17 სექტემბერი 1959 წ., გვ. 4.

ლამაზი გრისის მასალები გამოიყენებული აქვთ გ. ა. მირან ანაშენის, აღრეფერალური ხანის ქართული ძებრეტერისისა და რელიეფური ქანდაკის ძეგლები, თბილისი, 1968, სა. ნახ. 6, 18, 19 და 20. ტაბულაზე გამოსახული იმპერების მოცუანილია ამ სტატუაში.

5. ა. გარებოს ნარკვევები მხატვრული პროზას ისტორიკოლოგ, თბილისი, 1960, 17 თავი.

6. ნიკო ჩუბინაშვილი, ჩანდისი, თბილისი, 1972, ტაბ. 1-10 ხანგისი; ტაბ. 11-20 პანტანა; ტაბ. 34 ტაბსონი; ტაბ. 36 წალენი; ტაბ. 37, 38 და 39 ბრდამორის პატარა სტელა; ტაბ. 40 გორებავი; ტაბ. 42 ეკანება; ტაბ. 44 და 46 ქანალის ფერი; ტაბ. 71-1 ლემინგელა.

7. გ. ნ. ჩუბინაშვილი, მოლნისის სიონი, თბილისი, 1940, სა. 64 და სა. 79, — ის. აგრძელება ნახ. 63, 65-70.

8. გ. ა. გრებაძე, თ. გ. რიმაძე, კაზრეთის ანტიკური და აღრეფერალური ხანის ძეგლები, ძეგლის მეცნიერი, № 27-28, გვ. 46-49 და ტაბულები.

ლილი ლლონი

- ს. წარაშის სახელმისამართებულოს სახელმწიფო
 მეცნიერების უზრუნველყოფის მინისტრის
 მინისტრის მინისტრი
- ს. წარაშის სახელმისამართებულოს სახელმწიფო
 მეცნიერების უზრუნველყოფის მინისტრი
 მინისტრის მინისტრი

დაგენერაცია გორა


ეკანასკნელ წლებში ფართო ხასიათი მიიღო ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების შესწავლაში. ამ პერიოდის ნამოსახლარები ცნობილია როგორც საქართველოში, ისევე აზერბაიჯანსა და სომხეთში. მათი უმეტესობა კულტურულად ერთფენიანია. იშვიათია ისეთი ძეგლები, ხადაც ამ ხანის უძნებს ფარავდეს ქრისტიანობის მიმდევნო, მტკვარ-არაქსის კულტურის ნაშთები. ასეთი სტრატიგიკულის მქნენი ძეგლები საყოველთა კურადღებით სარგებლობს და ჩათ შესწავლას დადა ონიშენელობა ენიჭება თვით მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხის კვლევისთვისაც. აღმოსაფეხო ამიტრაქეახიაშია ათენებია: ნახილევანის ქიულ-თევზე და ბადადერევში I.

ამავე ხასიათის უნდა ყოფილიყო მარნეულის რაიონში, ქვემო შულავრის ტერიტორიაზე მდებარე ამებაშად განადგურებული ნამოსახლარი ბორცვი, რომელსაც პირობითად დანგრეული გორა ეწოდა¹. სტრატიგიზაციის თვალსაზრისით ქვემო შულავრის ჯგუფის ძეგლებიდან ყველაზე სანოტერესო სწორედ „დანგრეული გორა“ უნდა ყოფილიყო. იგი დანარჩენი ნამოსახლარებისაგან განსხვავდით, რომელიც კულტურულად ერთფენიან ძეგლებს წარმომადგენენ, როგორიანი ყოფილა. ქვედა, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენას ზემოდან მტკვარ-არაქსის კულტურის მძღვანელობის ნაშთები ფარავდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მიერ ძეგლის დანერგვის დროს შეკრებილმა ჰურკელმა, რომელიც ქვემოქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადმოუეცა, ეს საკითხი უდავოდ აქცია. ისევე როგორც ქვემო შულავრის ჯგუფის სხვა ძეგლებზე, დანგრეულ გორაზეც ყოფილა უფრო მოვალეობა ხანის ჩაშვებული სამარხები, რაზეც მიუთითობს აქ აღმოჩნდილი გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკერი ხანის კერამიკა და ფულობალური ხანის რენის შებისპირი.

დანგრეულ გორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მცირერიცხოვანია და, ძირითადად, არადოკუმენტირებული. მტკვარ-არაქსის პერიოდის მასალები შეკრებილია ან შეურჩეობის მუშაკების, ან ქაბედების წერტილის მიერ ბულდოზერით გაფანტულ მიწაში. მიუხედავად ამისა, აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მეტად საყურადღებოთა როგორც თვით ძეგლის ხასიათის გარკვევისათვის, ასევე ზოგადად, ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურის მყვალევართათვის. ამდენად, მიზანშეწინილად მივგააჩნია ამ მასალის გამოქვეყნება.

როგორც აღნიშნული იყო, დანგრეული გორა მდებარეობს ქვემო შულავრის ტერიტორიაზე, შულავრის გორის სამრეც-დასავლეთით, მდინარე ხრამის მარჯვნა ნაპირზე. როგორც გადმისუმით დგინდება, დაახლოებით 40-50 მ დიამეტრისა და 1,5-2 მ სიმაღლის ბორცვს წარმოადგენდა.

1965 წელს, როდესაც ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაშალა ხა-



კელე სამუშაოები, გორის შიოლოდ კვალიღა აჩსებობდა. აქ გაყლებულ იქნა თრია ურთიერთგადამკეთი თხრილი. კელტურული ფეხა მიწის ზედაპირიდან 1,2 მეტრის ნიღრმეზე ჩადიოდა. საცხოვრებელ ნაცეპობათა ნაშთები აღმოჩენილი არ ყოფილა. სამაციეროდ ფიქსირებულ იქნა ერთი მიწური თუ სამეურნეო ორმო, რომელის დიამეტრი 1,2-1,4 მ უდრიდა. ორმო ქვევით თანგათან ფართოვდებოდა. კედლები და ძირი თიხის ხსნარით იყო შელესილი. აქ სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა თიხის რამდენიმე ჭურჭლის კორპუსის ფრაგმენტი, ძირითადად ღია ფერად გამომწვარი, გაპრიალებულ-ზედაპირიანი, თუმცა აქევა შეზოტენილ ზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტიც. ერთი ქუსლიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი რამდენადმე განსხვავდება დანარჩენთაგან. მისი ზედაპირი მოყვითალო-მოვარდისფრია, არათანაბრად გამომწვარი; შიდაპირი მონაცრისფრო-მოშავო, ორმხრივ გაპრიალებულია; ნაძერწია ნამჯანარევი თიხისაგან. ორგანული მინანრევი (არათანაბრად დაკეპილი ბალაზი?) გამასკეთრებით მევეთრად ჩანს ზედაპირისა და შიდაპირზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწურის ძირზე მცნარეთა თესლის და კურნის წილშის აღმოჩნდის ფაქტი, რაც საყურადღებო მასალებს გვაწვდის კავკასიის აღრესა-მიწათმოქმედო კელტურის მეტრების შესახებ.

სპეციალისტების აზრით მიწური ნაპოვნი მცნარეთა სახეობების ერთად აღმოჩნდის ფაქტი მებარეობის არსებობაზე მიუთითობს.

მიწურისა და სამუშაოები თრმის გარდა კელტურული ნაშთები ვრცელდებოდა მთელ გათხრილ ფართობზე, თრივე თხრილში, მეტნაკლებად თანაბარი რაოდენობით.

იმ მწირი არქეოლოგიური მასალიდან, რაც დანგრეული გორის ქვედა ფინაშია მოპოვებული, უმეტესი ნაწილი კერამიკაზე მოდის, რომელიც შიოლოდ ფრაგმენტებითაა შემოზრენილი. მაგრამ მაინც შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ ძირითადად როგორი ფორმის თიხის ჭურჭელი იყო გაერცელებული. როგორც ჩვენს ხელ არსებული მასალა გვიჩვენებს, ჭურჭლების უმეტესობა საშუალო ან მცირე ზომისა ყოფილა, უპირატესად ჭილისტერი თუ კასრისტერი ფორმის — სწორკედლიანი, ღონავ პირმოყრილი. ერთი მოერდისფროდ გამომწვარი ნამჯანარევი თიხისაგან ნაკვეთები ჭურჭლის ფრაგმენტი პირგადმოკეცილია.

აღსანიშნავია ერთი ციფრულად გამომწვარი თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, რომელიც დეფორმირებულის შთაბეჭდილებას ჩოგბს — პირის ნაწილი ჩაზრდილია, რითაც მოგვაცინებს იღანილი-თეუჯეშე აღმოჩენილ პირიაზე მიღებილ ჭურჭლებს². ამგვარი თრითოდე ფრაგმენტი აღმოჩენილია იმირის გორაზეც. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვებილანი-თეუებს აღნიშნული ჭურჭლის ანალოგიურ ტიპითან.

ჭურჭლის ძირში, ძირითადად, ბრტყელი და დაბალქესლიანია. ზოგ შემოზვევაში შეიმჩნევა ღასტისა თუ ჭილობის სპირალური ანაბეჭდი. განსხვავებულად გამოიყურება ერთი ნამჯანარევი თიხისაგან ნაძერწი, დაბალქესლიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, რომელიც შედრეკეილია.

დანგრეული გორის ქვედა ფენიდან მომდინარე თიხის ჭურჭლის დიდი ნაწილი ღია ფერისაა — მოვარდისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი, თუმცა გეხვდება მოყვითალო-მოშავოდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტიც.

ზედაპირის დამუშავების მიხედვით, კერამიკაში სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: 1. შედარებით თხელევებიანი, კარგად გაპრიალებულ ზედაპირითა და ზოგჯერ შილაპირითაც; 2. მოგლევებულ ან მოსწორებულ ზედაპირიანი ჭურჭელი, რომელიც პირეელ ჯგუფთან შედარებით უხეშია; 3. უხეშედაპირიანი ჭურჭელი, ხშირად გამუ-



რული (გავრცელებული), რაც აღნათ მიუთითებს მათ „სამშარეულო ქურაგმენტის“ მოყვენებაზე.

ცალენი გამოიყოფა რამდენიმე ფრაგმენტი ე. წ. „შეთხეპნულ ზედაპირისანი“ კურა-მიკისა, რომელიც დამასასითხეულია ჩრდილო-კავკასიის აღრემინჯაოს ხანის კელ-ტერებისათვის და გავრცელებული ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში. მსგავსი კერა-მიკის ფრაგმენტები გვხვდება იმირის გორაზეც. ამ აღრეულ ძეგლებზე მათი აღმოჩენის ფაქტი, ჩვენი აზრით, ამაგრებს შ. ღედაბრიშვილის მისაზრებას, რომ ამ ტიპის ნაწარმი ჩრდილო კავკასიაში სამხრეთიდან უნდა შემულით.


საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამავე ფენაში ნაპონია ერთი წითლად შეღებილ-ზედაპირიანი, ნამჯანარევი თიხისაგან ნაძერწი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლის ზედა-პირიცა და შიდაპირიც გაპრიალებულია. მსგავსი ე. ი. შეღებილ ზედაპირიანი ჭურჭ-ლის აღმოჩენის ფაქტი ძალიან იშვიათია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღრესამიწათ-მოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე.


თიხის ჭურჭელი შემკულია ძირითადად, რელიეფური ორნამენტით დაძერწილი პირის გასწევრივ თუ კორპუსზე გვხვდება კონუსური კოპები. ერთ ფრაგმენტზე რამდენიმე კოპი პირის გასწევრივ თუ მწერივადაა დატანილი.

გამოიჩინება მოყვეითალო-მოყვავისური ზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც მხარშე დაძერწილი აქვს გველისებური თუ ტალღისებური მაღალი რელიეფი. ერთი მოვარდისფრო ფრაგმენტი დაბალი ჩელიკური „სარტყლითაა“ შემკული.

დანკრელი გორა.

თანამეტებული თიხის ჭურჭელი შეტევა-ლა შეტევა-არაქსის უკნილია





დანგრეული გორგა
ორნამენტები შეტყობინების ფე-
ნის თანის ჰურპელზე.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, ერთი მოქანდაկისფრიდ გამომწევარი, გამურულ ზედაპირიანი, სწორკედლიანი თიხის ჭურჭლის ურაგმენტი, რომელსაც პირი ირიბადა აქვს დაჭვეული. ჭურჭლის შემქობის ქს წესი შელავერის გორის კერამიკული ტრადი- ციების გაფრინელებაზე მივევთითებს.

ყველა ჭურჭელი ხელით ნაძერწია; კეცი არათანაბარი სისქისაა. თიხაში გაასამ- ჭლევებული შერუელია როგორც არაორგანული (სილა, ხვინჭა), ისე ორგანული (წერი- ლად დაკეპილი ნამჯა, ბალაში) მინარევი, ჭარბობს არაორგანულ მინარევიანი ჭურჭ- ლის ფრაგმენტები, თემცა ნამჯანარევიც საკმაოდ გაფრცელებული ჩანს.

ძელის ნაწარმი წარმოდგენილია რამდენიმე ნივთით. ისევე როგორც ამ პერიო- დის სხვა ძეგლებზე, აქაც გვედება შუაზე გაპობილ ლულოვან ძეგლზე (მეტაპოდიებ- ზე) ნაკეთებ სადგისები. წვრილიფეხა საქონლის მეტაპოდიაზეა აგრეთვე ჩამოყალიბე- ბული საპრიალებელი, რომელსაც მოკლე და სამუშაოებისგან მოყვანილობის სამუ- შაო წევრი აქვს.

განცალკევებით დგას ძელის ერთი ნივთი — მრგვალდეროიანი, ორმხრივ წაწევ- ტებული, შეა ნაწილში შევიწროებული გაურკვეველი დანიშნულების იარაღი, რო- მელსაც ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების ძელის მასალებში პარალე- ლი არ მოეპოვება.

დანგრეული გორის ქვედა ფერის მასალებში ყურადღებას იშიახურებს ირმის ჩეის იარაღები — „თოხები“. აქ აღმოჩნდა ამ ტიპის სამი „თოხი“. სამივე — გამჭო- ლი სატარე ნახერეტით. ერთი მათგანი განშტოებაზეა ნაკეთები, შეაში მრგვალი სა- ტარე ნახერეტი აქვს და მოგრძო, ირიბად წაკვეთილი სამუშაო პირი. მეორე წარმოად-

გენს მოულ ზედაპირ გახტებილ ირმის რეის ფუძეს, რომელსაც გვირგვინი ნაწილობრივ შეიჩინილი აქვს. მრგვალი სატარე ნახვრეტი გვირგვინთანვე გაკეთებული და რაღავა ბულია, მხოლოდ თავალის წინა წანაშარდი, რომელიც სწორად ყოფილ წყვეტილი; იარაღი დაზიანებულია. მეხამე იარაღი მოირკ „თოხის“ მსგავსად არის დამუშავებული, ოღონდ თღნავ უფრო უხშად; იგი უფრო მეტად არის დაზიანებული — მოტეხილი აქვს წვერი.

ისევე როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ყველა სხვა ადრესამიწამოქმედო ნამოსახლარზე, ქვის ნივთები აქაც მირითადად ობილიანისაგანმა ნაკეთები; სხვა ქანისაგან (არგილიტი) დამზადებულია მხოლოდ ერთი იარაღი — სახოკი, რომლის ოღნავ მომრგვალებულია სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია მასიური ანატკეცის გვერდზე მსხვილუაცეტიანი რეტეშის საშუალებით.

ობილიანის ნაწარმიდან აღსანიშნავია: ამირული წყველუსი, რომლიდანაც რამდენიმე არათანაბარი ანატკეცია მიღებული, ბურღლისებური იარაღი ნაკეთები როგორდა ლამელზე საჭიროადმდგრო სიბრტყეზე მდებარე რეტეშის საშუალებით და თავ-ბოლოგადამტკრეულ ლამელზე ჩამოყალიბებული სათლელისებური იარაღი (ხოჭი).

ერთი ორფერდა ლამელზე ნაკეთები იარაღის ფრაგმენტია, რომლის გვერდები რეტეშით, ხოლო ზერგი „გათლის“ საშუალებითაა დამუშავებული. აქევა ნაპოვნი ჩამდენიმე ლამელა, რომელთა ნაწილი რეტეშირებულია.

ამით ამოზურება დანგრეული გორის ქვედა ფუნაში მოპოვებული მასალა. მიუხედავად სიმცირისა იგი გარევეული დასკვნების გამოტანის საშუალება მაინც იძლევა: რომ დანგრეული გორის ქვედა ფუნის სახით საქმე გვაქვს შულავერ-შომუ-თევს კულტურის იხეთსავე ნამოსახლართან, როგორიცაა შელავერის და იმირის გორები. ჩართალია ნამოსახლარის არსებობის ხანგრძლივობაზე ლაპარაკი არ შევგიძლია, მაგრამ მეტანკლებად ზესტად შევგიძლია განვსაზღვროთ ამ ძეგლის ქრონოლოგიური ადგილი ქვემო შელავერის ჯგუფის ძეგლებთან მიმართებაში. იგი შელავერის გორაზე უფრო გვიანდებული და დაახლოებით იმირის გორის შეა ფენების თანადზრულია. ამაზე მეტყველებს დანგრეული გორის მასალები მოვარდისსფროდ გამომწვარი, გაპრიალებულზედაპირიანი და ნაშავანარეცი კერამიკისა და მრგვალ სატარე ნაპერეტიანი ირმის რეის „თოხების“ აღმოჩენის ფაქტები.

მტკვარ-არაქსის ფენა, როგორც ჩანს, ხანგრძლივი ქრონოლოგიური წყვეტილის შემდეგ ჩნდება.

დანგრეული გორის ზედა ფუნაში აღმოჩენილი იყო მხოლოდ კერამიკული მასალა. ნამოსახლარისათვის ჩვეულებრივ დამხასიათებული სააღმშენებლი ნაშები, ხელ-საჯვევავები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ნაპოვნი არ არის.

კერამიკული კომბლების შედგენილობა და მცირე ზომებიც იმაზე უნდა მეტყველდეს, რომ აქ ამ პერიოდის ნამოსახლარი არ ყოფილა. მხედვებლიობაში მისაღებია თვითშეიღელთა გადმოცემაც, რომ გორის ბულდოზერით მოთხრის დროს ჭურჭელთან ერთად ჩნდებოდა ადამიანის ძელების ნაშები. ამრიგად, საქმაო ხაფუძველი გვაქვს ვთევათ, რომ მტკვარ-არაქსის ჭურჭელი მომდინარეობს აღრეული პერიოდის ნამოსახლარ ბორცვზე მოგვიანოდ გამართული სამაროვანდან.

ასეთ ვითარებაში ურადღებას იქვეცს ის გარემოება, რომ დანგრეული გორის სამხრეთი, ათასიოდე მეტრის მანძილზე მიგნებულია ადრე ბრინჯაოს ხანის ვრცელი ნასოფლარი მცირე სამაროვნითურთ; გამორიცხული არ არის, რომ დანგრეულ გორაზე გამართული სამარბეჭიც აჩ ნამოსახლარს განკუთვნებოდეს.

დანგრეული გორჩა.
იმპის ჩეის „თოხვბა“
ქვედა ფენიდან

დანგრეული გორჩა.
ტკუნის ნივთი ქვედა
ფენიდან



19-969:35

მოპოვებული მასალის რაოდენობის მიხედვით ჩანს, რომ სამაროვანი დიდი არ უნდა ყოფილიყო, დანგრეული გორჩის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკული კომპლექსი შედგება როგორც მთელი ჭურჭლის, ასევე ფრაგმენტებისაგან. კერამიკა ტიპიური მტკვარ-არაქსულია: ნაძერწია ხელით, გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით — ცი-ლინდრული ოდანავ გამოყვანილი ყველი, შემცრილი, დაშვებული მუცელი, მევეთრად შევეწიროვებული ქვედა ნაწილი და პატარა ბრტყელი ძირი. ნახვარსუეროსებრი ამომ-ჭდარი ყურები დაძერწილია ყველის ძირზე გვხვდება მოგრძო, ზურგწიბოიანი ყურები, მიბმული ყველის ძირზე და პირთა. ჭურჭლის შედაპირი ძირითადად შავპრიალა, სარტყელი ვარდისფერი, ზოგჯერ წითლად შეღებილი ან ნაცრისფერი. დიდი ზომის ჭურჭლი სქელედლიანია და ორფენოვანი, მომცრო — თხელებულიანი; ორნამენტი დაჭრეულია.

შედგენილობის მიხედვით კერამიკული კომპლექსი შეიძლება გაიყოს ხუთ ჯგუფად: დიდი ზომის ქილები, პატარა ქილები, ღრმა ჯამბი, სარქველები და ჭურჭლის საფარი. მათი მეტი ნაწილი ორნამენტირებულია მარტივად ან რთულად: ყველის ძირზე შემოყოლებულია მოკლე ირიბი ხაზებისა და სამკუთხედებისაგან. შედგენილი სარტყელი; გრომეტრიული, ზოთონოსული, მცენარეული, ტეხილხაზოვანი და სპირალური სახეები განაწილებულია გარკვეული წესით როგორც ჭურჭლის ყველზე, ასევე ზეცილზე.

დიდი ზომის ქილებში, რომელთა სიმაღლე 35 სმ აღწევს, გამოირჩევა ერთი ორ-კურა, განსაკუთრებით რთულად ორნამენტირებული ქილა; დაჭრებით შესრულებული სახე მოთავსებულია ჭურჭლის ცალ მხარეს, მხოლოდ ყველის ძირის ირგვლივ შემო-

კოლექტული აქებ დაჭრეული ორნამენტით შემცელი სარტყელი. თვით ყელზე, მეონდ რისებურ-ტეხილხაზოვანი ორნამენტის ქვეშ, სამკუთხედზე ჰყავდეულია ორპუტყულური ტაბარი სამხოლური გამოსახულება; მის ქვეშ, შეცელზე ორ სტილუშებულებული მილა რის მოთავსებულია ორმაგასპირალური — „სათვალისებური“ სახე.

განსაკუთრებით მდიდრულად არის შემცელი ერთი პატარა ცალყურა ქილა. კურ ერთი, მისი ზედაპირი სხვადასხვანაირად არის გამომწვარი: ქვედა, უორნამენტოდ დატოვებული ნაწილი შავპრივალაა, ზედა კი ბაკი ნაცრისეცერი. ყელის ძირშე შემოვლებული ვიწრო სარტყელი დაფარულია წმინდა ჭდებით შესრულებული როული ხაზოვან-ტერტილოვანი სახებით, რომელგანც ჩართულია წუროს სტილისებული გამოსახულება. წინა მხარეს, სარტყელზე დასტულია პატარა თოხწანაგა შევრილი; ის ორნამენტის ცენტრს წარმოადგენს, ზესტად მის თავზე ჭურჭლის ყელზე, სამმატლიან ტეხილ მეანდრზე სამკუთხედით შეკადებულია ორმაგი ვოლუტი; კოპის ქვეშ მუცელზე გამობატულია რთული სახე — ჭდეული, ტეხილი ხაზები, ბოლოზე თრ-თრი სპირალით; ზეაზი შეკადებულია და აღმართულია თითო რომაგი ვოლუტი. ცენტრალური გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ სისტერიულად მოთავსებულია ჩაჭრდარი, ძლიერ სტილუშებული თითო წურო. წუროების და ცენტრალური გამოსახულების სტილიზაციის ხასათი თითქმის ერთნაირა და ისეთ შთაბეჭდილებას სტოკებს, თითქოს ცენტრშიც გამოსახული უნდა იყოს სქემატურ სიმბოლოდ ქცეული ორი წერო, რომლებსაც ნისკარტით უკირავთ საკრალური ნიშვნები — ორმაგი ვოლუტი.

ასეთივე ხასათის, მხოლოდ უფრო მარტივია მრავალრიცხოვანი ჯამების ერთ ცრუერებიან ცალზე დაჭრეული გამოსახულება. მას ყელის ძირშე შემოუყვება ცერად დამზრიცხული სამკუთხედებისაგან შედგნილი სარტყელი; ჯამის ტანზე ხაზები დატანილია ორი მხრიდან, მაგრამ მხოლოდ ერთი შთავანია მთავარი და ეს შთარე უნდა იყოს ჭურჭლის პირი. აქ, პირისპირ დაყენებულ, ჩაჭრდარ, ძლიერ სტილისებულ ორ წეროს შორის მოთავსებულია სპირალებით დამთავრებულ ბოლოებიან ტეხილ ხაზე შეკადებული ორმაგი ვოლუტი; მოპირდაპირ მხარეს შერთალად არის გამოყვანილი წეროების ასეთივე წყვილი.

დაბოლოს ყურადღებას იქცევს „კოჭისებური“ მოყვანლობის ჭურჭლის სადგარის თავისებური სახის ერთი ფრაგმენტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არ ყოფილა აღმოჩენილი.

ანალოგიური მასალა კარგად არის ცონბილი განსაკუთრებით შტკვარ-არაქების კელტურის გარეცელების სამხრეთ რაიონებში, თუმცა მისი ნაშთები დღემდეც იყო ცნობილი თვით მტკვრის აუზში (თბილისი, ქვაცხელა). მათი აღმოჩენა ისეთ რაიონში, სადაც დღემდე უფრო მეტად მტკვარ-არაქების კელტურის აღრეული მასალები მოიპოვებოდა (თამარისი, კიკეთი, სამწევილდე) აფართოებს ჩვენს წარმოდგენას კერა-შეკის სხსნებული ვარიანტის ჩრდილოეთი გარეცელების ფარგლების შესახებ; მეორე შერივ, იყოვე ფაქტი დამატებით სამუხა წარმოადგენს ამგვარი კერა-შეკის შედარებით მოგვიანო პერიოდით განსაზღვრისათვის, რაც სხვა მასალებითაც დასტურდება.

ზემოაღწერილი ჭურჭლის მსგავსი ორნამენტი დიდი ხანია იქცევს კურადღებას და უთუოდ საგანგებო შეწავლას საჭიროებს. ვეჭველია, რომ მას მხოლოდ დეკორატული დანიშნულება კი არა პერიდა, არამედ გარკვეული შინაარსიც გააჩნდა. განსაკუთრებული ადგილი მასში დათმობილი აქვს ფრინველების, სპირალის და ორმაგი ვოლუტის გამოსახულებებს. ამ სახეების სემანტიკის გახსნა ძნელია; მხოლოდ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჟავაშირდებიან ასტრალურ წარმოდგენებს, რომ-



ლებშიც, ცხადია, ბუნების განახლების, ნაყოფიერების კულტისაც გარემოლენ ადგენერაცია უჭირას. ნიშანდობლივია, რომ ორმაგი ვოლუტი გვჩვდება არამარტო ჰერიტაჟის საკინძებზე და საკიდებზე: ქვე სიმბოლური სახეები ძალიან დიდხანს შემორჩია სამხრეთ კავკასიაშიც, კერძოდ, შუაბრინჯაოს ხანამდე (თრიალეთი, ბედენი), და, რაც არა ნაელებ საყურადღებოა, გავრცელებულია მცირე აზიაში ხეთურ ხანაში, მონუმენტურ რელიეფებზე და გლიპტიკაში (ჩაგალითად — ბოლაშეკეის რელიეფი ტურქალიას IV გამოსახულებით, ააზილოკას რელიეფები და ბოლაშეკეის კარზე გამოქანდაკებული მეომრის ხელში გამოსახული „ცული“)³.

ამრიგად აქ მოპოვებული მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დანგრეული გორა ადრეული პერიოდის ნასოფლარია, რომელზეც ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ ადრებრინჯაოს ხანაში გამართული იყო სამაროვანი.


ამ მოელე მიმოხილვიდანაც ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს გარეგნულად შეუმინდევლი ძეგლები, რომლებიც სამწუხაროდ უყურადღებობის გამო ხშირად ჩვენს თვალშინ ნადგურდება.

¹ ი. მ. ჯურაშვილი, ა. ჯვარიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ. 41, 45.


² И. Г. Нариманов. Раскопки энеолитического поселения Иланлы-тепе. Археологические открытия 1968 г. М., 1969, стр. 396, 397.

³ R. Hamann. Geschichte der Kunst. Berlin. 1955. სურ. 370, 374.

ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର



ଅଧିକାରୀ




ସମ୍ମାନ



ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର

ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର



ମାତ୍ରା ମାତ୍ରା ମାତ୍ରା

ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର, ଗାନ୍ଧିଜୀ ମହାନ୍ତିର, ଶାଶ୍ଵତତଥା ମହାନ୍ତିର, ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର, ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତିର

სოციალ კიანეთის X საუკუნის ხუროთმოძღვრული ძირი

ქვემო ქართლის მრავალრიცხოვან ძეგლთაგან ჩვენ აქ გამოიყენებით სოფ. კიანეთის (ბოლნისის რაიონი) იმ კვლების დროის საქართველოდან სომხეთში მიმავალი გზის პირას ქვეშის ციხის მახლობლად დგას და ბევრ მნახველს იზიდავს. ხელსა აინტერესებს, როდის არის აშენებული ტაძარი, რა შეინარჩისაა და რა ენაზეა დაწერილი შის ერთ-ერთ ქვაზე დაცული წარწერა. ჩვენ კეცდებით შეკლებისდაგვარად დაკავშირდულოთ ქართული კელტურის ისტორიით დაინტერესებული მნახველი და სათანადო ცნობები მიერწოდოთ მას.¹

კიანეთის კვლების შესახებ არავითარი ცნობები ძველ მატიანებში შენახული არ არის. წარწერაც, როგორც ქვემოთ დაინახავთ, ამის თაობაზე არაფერს გვაწევდის. ერთადერთ დასაყრდენს ძეგლის აკების თარიღისა და მასში ამ რაიონის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგი ნიშნის გამოვლინებისათვის გვაძლევს შენობის სააღმდეგნებლო თავისებურებათა შესწავლა. ამ მასალის ანალიზის საფუძვლზე ხერხდება დაცვენა, რომ ტაძარი აგებულია X საუკუნეში, ხოლო მოჩერერთმებული და წარწერიანი ფრაგმენტები, რომელიც ჩადგმულია შენებლობის დროს, მის კედლებში, ამ ძეგლისათვის უცხონი არიან და სხვადასხვა დროს არიან შექრელებული VIII-X საუკუნეთა განმავლობაში.

კიანეთის კვლებიამ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. მას მთლიანად ჩატევული აქვს კამარა, ძლიერ დაზიანებულია კედლებიც, განსაკუთრებით დასაცემის და ჩრდილოეთის მხრიდან. არც აღმოსავლეთის კედლის ზედა ნაწილია დაცული და გამოწეული თარის ფორმის კარნისიც მოთლოდ სამხრეთის და ნაწილობრივ ჩრდილოეთის ფასადებზე შერჩენილი. ცოკოლი მიწითაა დაფარებული. მაგრამ რაც გადაუჩაა დროის კედლმართობას, უმნიშვნელო შეკეთებების გარდა, თავდაპირებული სახითაა დაცული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის მიმართ უკანასკნელ წლებში, შეუწინარებელი მოცურობის ფაქტებია დადასტურებული: აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებიდან ამოღებული და წაღებულია საპირე თლილი ქვები, ამოკოდვილია კარის გვერდით მდებარე ქვაზე გამოსახული ჩუქერთმის დიდი ნაწილი, სამხრეთის ფასადი აჭრელებულია მრავალი სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერით და სხვ. 1969 წელს ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით და ძეგლთა დაცების საზოგადოების აღილობრივი თანხებით ძეგლს რეინის ბადის ღობე შემოავლეს. 1972 წელს იანვარში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „საქართველოს სპრ ტერიტორიაზე კელტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი დაცვის გაუმჯობესების შესახებ“ და სათანადო ორგანოებს დაავალა შეტე უკადღება დაუთმონ ისტორიული ძეგლების დაცვას. ამ ღონისძიებებმა შეაჩერა კიანეთის კელებით შემდგომი დაზიანება.

კიანეთის ძეგლში განსაკუთრებით მომზიბლავია კედლების წყობა, შესრულებული მოყვითალო ფერის სუფთად ნათალი სწორი კვადრებით. წყობაში შერეულია



კიანუთი.
სამართო ხედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან.
ფოტო ვ. ცანკაძისა.

რამდენიმე ბაზალტის ჯიშის ქვა, თითო-თრთლა შუალენ და წითელ ქვასაც ვხვდებით. პირდღებმა ძროთა განმავლობაში ზოგან მოვარდისფრო, ზოგან კი მოშავთ ულფერი მიიღებ. ჰულეა პატარაა, წყობა მცველობი აქვს, ძეგლის საერთო იყრი დაბვეჭილია.

განსამღებლი ნაგებისა წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის, გვემაში მოგრძო, დარბაზულ გულებიას, ორნაც ნალისებური ფორმის საკურთხევლით აღმოსავლეთის მხარეს. აბაიდში ორი თახჩაა. კედლებს აყოლილი აქვს პილასტრები. პილასტრებისა და აბაიდის კუთხების დამაგვირგვინებული იმპოსტები სადაა. ორი შერჩენილი სარკმელი გარედან თაღოვანია, შეიგრით კი თოხეუთხა მოხაზულობისა, წყობაში კარგად გამოყვანილი. კარი შიგნიდან თაღით გვირგვინდება, გარედან კი არქიტრავით. ძეგლის ციდა სიცრცე ძალიან მოხდენილია. კიანუთის გულების მთავარი მორთულობაა ამ ძეგლისათვის უცხო თრნამენტული ფრაგმენტები აქა-იქ ჩადგმული აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებში. თეთო მშენებლის ნახელავი აქ მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმლის სათაური და მის თავშე მოცემული ჯავრია.

ძეგლისათვის ეს მინშვნელოვანი დეტალი ბევრის მოქმედება და ამიტომ ჩვენ პირველად მასწევდ შეცნერდებით.

